საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 11 ოქტომბერი. 2021 წ. №186 (9305) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



სჯობს ბრძოლა, თუკი მშვიდობის მილწევა მხოლოდ ბოროტებასთან შერიგებით არის შესაძლებელი...

ჩხრიალა გველები პატრიარქის უბეში!!!

5

არჩევანი მე, 4 არადანი შენ,

ანუ განთავისუფლება ისევ სამეგრელოდან უნდა დაიწყოს!

გაზეთის მკითხველთა ჭკუადასალები შეთავაზება

შეიქმნას ოპოზიციური კოალიციური საბჭო, 3

ანუ თუ ყველა პარტია მართლა ქვეყნის განვითარებისთვის ილვწის და იბრძვის

ბათუმში კორპუსის ნგრევისას დაშავებულებსა და დაზარალებულებს სახელმწიფო დაეხმარება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მომხდარ ნგრევასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

„ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ადგილზე მობილიზებული იყო ყველა შესაბამისი სამსახური, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები, ასევე – ადგილობრივი ხელისუფლება და მერიის სამსახურები. აქტიურად ჩატარდა სამაშველო ღონისძიებები, დაშავებულების ნანგრევებიდან უმოკლეს დროში ამოყვანის მიზნით. ყველა დაშავებულსა და დაზარალებულს სახელმწიფო გაუწევს შესაბამის დახმარებას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო გამოძიება, რომელიც მომხდარის მიზეზებს აუცილებლად დაადგენს“.

ამის შემდეგ პრემიერი ბათუმში გაემგზავრა და შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო.

საპატრიარქო ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს

„მწუხარებას გამოვთქვამთ ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო. ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. უფალმა აცხონოს და სავანესა მართალთასა დაიწესოს გარდაცვლილთა სულები“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

11 ოქტომბერი გლოვის დღეა!

„ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მათთან ერთად, ამ საზარელ ტრაგედიას სრულიად საქართველო გლოვობს. ჩემი გადაწყვეტილებით, დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ორშაბათი, 11 ოქტომბერი, გლოვის დღედ გამოცხადდა. სახელმწიფო მომხდარის შედეგად დაზარალებულებს ყველა შესაბამის დახმარებას გაუწევს. კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება ყველა პირი, ვისი ბრალეულობაც გამოიკვეთება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დააკავა სამი პირი და გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალურ გვერდზე.

თბილისობის თანხა – დაზარალებულთა ოჯახებს!

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე ბათუმში მომხდარ ტრაგედიას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და **განმარტა, რომ ღონისძიება, რომელიც, სატელევიზიო ფორმატით, თბილისობის აღსანიშნად უნდა ჩატარებულიყო, გაუქმდება.** თანხა ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა ოჯახებისა და დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

„ტრაგედია, რომელმაც მთელი ქვეყანა გააერთიანა, ყველას საერთო ტკივილია. თბილისი არის ქალაქი, რომელმაც არაერთხელ აჩვენა გაჭირვების დროს გვერდით დგომისა და სოლიდარობის მაგალითი. დღესაც, ამ მძიმე წუთებში, თბილისი დგას ბათუმის გვერდით. ჩვენი გუნდის გადაწყვეტილებით, ღონისძიება, რომელიც, სატელევიზიო ფორმატით, თბილისობის აღსანიშნავად უნდა ჩატარებულიყო, გაუქმდება. გამოყოფილი თანხა კი გადაირიცხება ბათუმში მომხდარი ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა ოჯახებისა და დაზარალებულთა დახმარების ფონდში“, – ამბობს კახა კალაძე.

ამერიკას მუდამ ემახსოვრება დაშავებულები და დაღუპულები

ამერიკის შეერთებული შტატები **გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ბათუმში საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულებს,** – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებაში.

„ამერიკის შეერთებული შტატები გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ბათუმში საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულებს. ჩვენი საელჩოს საზოგადოებას მუდამ ემახსოვრება დაშავებულები, დაკარგულები და დაღუპულები.

„ქართულმა ოცნებამ“ 12 ოქტომბრამდე ყველა საარჩევნო აქტივობა შეწყვიტა

„ბათუმში დატრიალებულმა **უმძიმესმა ტრაგედიამ** მთელი ქვეყანა შეძრა. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

დღეს, თითოეული ქართველი გლოვობს. **დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, „ქართული ოცნება“ 12 ოქტომბრამდე ყველა საარჩევნო-პოლიტიკურ აქტივობას წყვეტს...**

გელა დაიაური: აჭარელო ძმაო, მტკივა შენი ტკივილი!

გელა დაიაური, რომლის მეუღლე და სამი შვილი 11 წლის წინ მუცოს ხეობაში დაიღუპა, აჭარაში მომხდარ ტრაგედიას ეხმაურება და უსამძიმრებს კაცს, რომელმაც მის მსგავსად მეუღლე და შვილები დაკარგა.

„ჩემთვის უცნობო აჭარელი ძმაო, ღმერთმა იცის, როგორ ვგრძნობ, რა ტკივილს გრძნობ, რა სიცარიელეა შენს სულში... როგორი ცივი გახდა სამყარო შენთვის!!! დიდი განსაცდელი მოგივლინა ღმერთმა. რამდენი პასუხგაუცემელი კითხვა იტრიალებს შენს გონებაში. მთელი ცხოვრება მოგიწევს ამ ტკივილის ტარება და მასთან ერთად ცხოვრება. ძალიან მეცოდები და მტკივა შენი ტკივილი. სულით და გულით გითანაგრძნობ და თანავუგრძნობ ყველა გარდაცვლილის ახლობლებს და სრულიად საქართველოს!!! არ მინდოდა, ისედაც მძიმე ფონის დამძიმება, მომიტევე. უბრალოდ, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მცირედით მაინც გამემხნევებინე ჩემი თანაგრძნობით“, — წერს გელა დაიაური.

2010 წლის 22 ივლისს მუცოს ხეობაში ავტომობილი, რომელშიც 10 ადამიანი იჯდა, გზიდან გადავარდა. ავტოკატასტროფამ შვიდი ადამიანის, მათ შორის, გელა დაიაურის მეუღლისა და შვილების სიცოცხლე ემსხვერპლა.

იუსტიციის სამინისტრო: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გაუცია მშენებლობის ნებართვა!

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ არის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო. მას არ გაუცია მშენებლობის ნებართვა ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე განთავსებულ საცხოვრებელ კორპუსში სამუშაოებთან დაკავშირებით, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უწყების განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მხოლოდ არეგისტრირებს საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე.

„ადმინისტრაციული წარმოება, მიმდინარე განაცხადზე, წარიმართა მხოლოდ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

2021 წლის 4 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მომართა ზაურ ბუდაგოვმა და მოითხოვა ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩა, № 13, (სარდაფი) უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. განაცხადს თან ერთვოდა ნოტარიულად დამოწმებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 100%-იანი კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერდა ამხანაგობის თავმჯდომარე. ასევე, განაცხადს თან ერთვოდა სარდაფის აზომვითი ნახაზი და ზაურ ბუდაგოვის საკუთრებაში არსებული ბინის №1 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კანონით გათვალისწინებულ ოთხი სამუშაო დღის ვადაში მიიღო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, ვინაიდან მოთხოვნილი იყო უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია და არ იყო წარმოდგენილი ბინისა და სარდაფის ერთიანი აზომვითი ნახაზი.

განვმარტავთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ არ დარღვეულა განაცხადის განხილვისთვის კანონით დადგენილი ვადა“, — აცხადებენ უწყებაში.

ბინის მესაკუთრე და ორი დაქირავებული მუშა დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 3 პირი: **პირველ სართულზე მდებარე ბინის მესაკუთრე 1975 წელს დაბადებული ზ.ბ. , 1962 წელს დაბადებული ხ.ს. და 1992 წელს დაბადებულ გ.ს. დააკავეს.**

დანაშაულები 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულზე ერთ-ერთი ბინის მფლობელმა ზ.ბ.-მ ბინაში სარემონტო სამუშაოებისთვის ხ.ს. და გ.ს. დაიქირავა. ბინის მესაკუთრის მითითებით და უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით საცხოვრებელ ბინაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, რამაც მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს საცხოვრებელი კორპუსის ერთი სადარბაზოს ჩამონგრევა გამოიწვია.

ადვოკატი სააკაშვილის შიმშილობაზე: თაფლიანი წყლის მიღება შიმშილობის ერთ-ერთი ფორმაა



საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი **ბექა ბასილაია** განმარტავს, რომ თაფლიანი წყლის მიღება შიმშილობის ერთ-ერთი ფორმაა.

„ძალიან კარგად ვიცით, რომ მიშა სააკაშვილი შიმშილობს. ეს არ ყოფილა მშრალი შიმშილობა. რაც შეეხება პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ამ საკითხზე მიშასთან კომუნიკაცია არ მქონია. ჩვენ ის მოვინახულეთ პარასკევს და განცხადება გავრცელდა გვიან ღამით. მექნება კომუნიკაცია მიშასთან და დავაზუსტებ. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციაც სრულად მოდის შესაბამისობაში იმ საკითხთან, რომ მიშა შიმშილობს, რადგან არსებობს შიმშილობის რამდენიმე ტიპი — მათ შორის მშრალი შიმშილობა და სითხეების მიღებით შიმშილობა. თუ თაფლის გახსნა ხდება სითხეში, ესეც შიმშილობის ერთ-ერთი სახეა, უბრალოდ, ამ შემთხვევაში შიმშილობა უფრო გრძელვადიანია, ვიდრე მშრალი შიმშილობისას ან მხოლოდ წყალზე შიმშილობისას. თუმცა, ეს საკითხები მე მასთან უნდა დავაზუსტო, მხოლოდ პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საზოგადოება შეცდომაში რომ არ შევიყვანო“, — განაცხადა ბასილაიამ.

ნატოს მომავალი სამიტი მადრიდში გაიმართება

ნატოს მომავალი სამიტი მადრიდში 2022 წლის 29-30 ივნისს გაიმართება. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა.

„უფრო კონკურენტულ სამყაროში ნატოს გასაძლიერებლად მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამთ“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის სამიტზე ბრიუსელში ლიდერებმა ამბიციური დღის წესრიგი დაამტკიცეს, რომელიც ტრანსატლანტიკურ უსაფრთხოებასა და თავდაცვას ეხება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:

1. ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია — ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში;

2. ეძვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია — ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ხელოვნების დარგში ;

3. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია — საქართველოს მინერალური ნედლეულის, გეოლოგიისა და ტექნოლოგიის დარგში;

4. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია — ტექნიკის დარგში;

5. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია — აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში;

6. რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია — ქიმიური ტექნოლოგიის დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონსკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წამოაყენებენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2021 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ **მისამართზე:** თბილისი, რუსთაველის გამზ. № 52, ოთახი 320.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-99-00-52

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გაზეთის მკითხველთა ჭკუადასალები შეთავაზება

შეიქმნას ოპოზიციური კოალიციური საბჭო,

ანუ თუ ყველა პარტია მართლა ქვეყნის განვითარებისთვის ილვწის და იბრძვის

ერთი რამ შეუვალი ჭეშმარიტებაა. ახლა სხვა გზა არ არის, მხოლოდ არჩევნებმა უნდა შეცვალოს ხელისუფლება. მხოლოდ ხალხმა უნდა მიიღოს თავისი მომავლის ბედგანმსაზღვრელი გადაწყვეტილება. ოპოზიციურ პარტიათგან მარტო იმის ძახილი, ჩვენ მოვალთ და ამჟამინდელ ჭაობს დავაშრობთო, სიღარიბესა და უმუშევრობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოვუღებთო, ქვეყანას განვითარების სწორ გზაზე გადავიყვანთო, საქმეს არ შველის. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პარტიებს პოლიტიკური მოთმინება არ ჰყოფნით, არჩევნებზე ბევრად ადრე უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა, და არ თავდება რევოლუციური გაწამაწია, გამიშვი და არ გაგიშვებ, ბოიკოტები, მიტინგები, აქციები. დაიღალა და გაბეზრდა ხალხიც, სრულიად ქვეყანაც. პოლიტიკური ცხოვრება აშკარად დუღს და გადმოდის. კოვიდ-19-ის პანდემიასთან შეუღლებული პოლიტიკური პანდემია, ცხადია, აფერხებს, ამუხრუჭებს ქვეყნის სწრაფ განვითარებას ყველა მიმართულებით.

საზოგადოება, რა თქმა უნდა, შეშფოთებულია. მით უმეტეს, რომ ქვეყნის დამამუხრუჭებელ ძალთაგან ხელოვნურად შექმნილი ერთგვარად დღემდე გაურღვეველი ჯადოსნური წრიდან გამოსავალი მაინცდამაინც არ იკვეთება.

სწორედ ამ გამოსავლის ძიების მიზნით ახლახან ჩვენს რედაქციაში შეიკრიბა გაზეთის მკითხველთა ფართო მრგვალი მაგიდა. ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელნი კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რახან ოპოზიციურ პარტიებს აგრერიგად აწუხებს, აფიქრებს და ძილს უფრთხობს ქვეყნის მომავლის ბედი ამჟამად არსებული ქვეყნის ხელმძღვანელობის პირობებში, იქნებ ოპოზიციურმა პარტიებმა პოლიტიკური მოთმინება გამოიჩინონ და ვიდრე მომავალი, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციურ მთავრობას შექმნიდნენ, ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთაგან შექმნან ოპოზიციური კოალიციური საბჭო. და თუ ყველა ოპოზიციურ პარტიას ქვეყნის სწრაფად განვითარების „ოცნების“ მრავალწლიან პროგრამასთან შედარებით ცალ-ცალკე ბევრად უკეთესი პროგრამა აქვს, შედგეს ამ პროგრამათაგან ერთი საერთო ნაკრები, რის განხორციელებასაც ოპოზიციური საბჭო შესთავაზებს ხელისუფლებას.

ეს იქნება ხელისუფლებისა და ოპოზიციის მამულიშვილურ შეგნებაზე აღმოცენებული თანამშრომლობა და თანაცხოვრება, რაც ფრიად და ფრიად წაადგება ქვეყანას ჭეშმარიტ დემოკრატიულ გზაზე წინსვლაში. თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ამჟამინდელი ოპოზიცია გაიმარჯვებს, ოპოზიციური კოალიციური საბჭო კოალიციური მთავრობა გახდება. შემდეგ უკვე ახალი ოპოზიცია შექმნის ახალ ოპოზიციურ კოალიციურ საბჭოს და გაგრძელდება ასე.

რედაქციაში გამართული მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთა აზრით, ეს იქნება ყველაზე უფრო საუკეთესო გამოსავალი ახლანდელი ჩაკეტილი წრიდან. დაშოშმინდება ქვეყანა, დაშოშმინდება ხალხი, დაშოშმინდებიან პარტიები, შეწყდება ბინძური სატელევიზიო შინაომი, ქვეყნის საბედისწერო დაპირისპირება. როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მხრიდან გაერთიანებული ძალისხმევა უთუოდ ქვეყნის ძალუმად მოღონიერების მყარი საფუძველი გახდება.

ცხადია, ხელისუფლებასთან ასეთ ნაყოფიერ ურთიერთობასა და ურთიერთცხოვრებაში ოპოზიციური საბჭო გაცილებით მეტ პატივისცემას და თანადგომის სურვილს აღძრავს ამომრჩეველში, რაც წარმატებისკენ გზას გაუხსნის მომავალ არჩევნებში.

გვგონია, რომ დაფიქრებად ღირს ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ მიგნებული ეს გამოსავალი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ჩიხიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია

ამერიკული გამოცემა THE HILL:

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კრემლისთვის სასარგებლოდ თამაშობს, როდესაც ცდილობს არეულობის გაღვივებას და უსაფრთხოების სამსახურებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კრემლისთვის სასარგებლოდ თამაშობს, როდესაც ცდილობს არეულობის გაღვივებას, გააღრმავოს საზოგადოების პოლარიზაცია და ლეგიტიმაცია დაუკარგოს ინსტიტუტებს, როდესაც მოუწოდებს უსაფრთხოების სამსახურებს დაუმორჩილებლობისკენ, — ამის შესახებ ნათქვამია გავლენიანი ამერიკული გამოცემა The Hill-ში გამოქვეყნებულ საავტორო სტატიაში.

როგორც ვაშინგტონში განლაგებული „ჯეიმსთაუნ ფაუნდეიშენის“ მკვლევარი იანუშ ბუგაისკი წერს, მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობამ დაასრულა დემოკრატია და მისდევს პრომოსკოვის პოლიტიკას, თუმცა **„საქართველოს მთავრობა ერთგულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისა და ეწინააღმდეგება რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას“**.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ევროპარლამენტის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის შეფასებით, ოქტომბერში ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

„მთავრობამ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობით, გაატარა საარჩევნო რეფორმა, რაც შესაბამისობაშია ეუთოოდირის რეკომენდაციებთან და რაც უზრუნველყოფს მეტ პროპორციულ წარმომადგენლობას მუნიციპალიტეტების დონეზე და გაზრდის მრავალპარტიული საკრებულოების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს“, — ნათქვამია სტატიაში.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად ამისა „ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი არჩევნების დისკვალიფიკაციას ცდილობს“, რაც მისი თქმით, ძალიან ჰგავს ნატოს ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელებულ „ძირის გამომთხრელ ქმედებებს“. მას ასეთი ქვეყნების მაგალითად ჩრდილოეთ მაკედონია და ალბანეთი მოჰყავს.

SECTIONS SEARCH

THE HILL TIMES

Saturday, October 9, 2021 | Latest Paper

News Opinion Foreign Policy Politics Policy Legislation Lobbying Hill Climbers Electi

GLOBAL

Georgia's ex-president shaking up politics in Ukraine

By SCOTT TAYLOR DECEMBER 13, 2017

His threat last week to jump from an eight-storey building rather than be arrested is the latest in Mikheil Saakashvili's dramatic political history.

„საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტია რეგულარულად ამტკიცებს, რომ არჩევნებზე მასობრივ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და აშშ-ის დემოკრატიის ხელშეწყობის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიგნებებს. საქართველის პროგრესი დაადასტურა ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ, რომლის შეფასებითაც, ადგილობრივი არჩევნები იყო კონკურენტული, გამჭვირვალე და პროფესიონალურად ადმინისტრირებული. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო კიდევ ერთი მანდატი, როდესაც მიიღო ამომრჩეველთა 47%-ის მხარდაჭერა ადგილობრივი არჩევნებისთვის შედარებით მაღალი აქტივობის პირობებში. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო 31%.

არჩევნების წინა ღამეს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი საიდუმლოდ დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა ის დააკავეს წარსულში ძალაუფლების გადამეტებისთვის.

საკაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობამ დაასრულა დემოკრატია და მისდევს პრომოსკოვის პოლიტიკას, თუმცა საქართველოს მთავრობა ერთგულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისა და ეწინააღმდეგება რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას. ყოფილი პრეზიდენტი კრემლისთვის სასარგებლოდ თამაშობს, როდესაც ცდილობს არეულობის გაღვივებას, გააღრმავოს საზოგადოების პოლარიზაცია და ლეგიტიმაცია დაუკარგოს ინსტიტუტებს, როდესაც მოუწოდებს უსაფრთხოების სამსახურებს დაუმორჩილებლობისკენ“, — წერს გამოცემა.

◎ კლოუნადა!..

მიშა და შიმშილი!..

თავისუფლება მიშასო — მოგვიწოდებს მთავარი საკანალიზაციო არხის მარცხენა „დევიატკაში“ განთავსებული სტრიქონები, თითქოს ეს ნედელი გიჟი ისედაც არ იყოს თავისუფალი.

ჯერ ის ვიკითხოთ, მართლაც ციხის ჯოჯოხეთში ყურყუტებს თუ „დაჩნიკის“ პირობებით ტკბება დიეტაზე შემჯდარი ნაცსისტემის მამამთავარი.

მართლაც, ძნელია პატიმარი უწოდო არსებას, რომელიც თაფლითა და წვენებით „შიმშილობს“, პირადი ექიმის — ამერიკიდან ჩამოფრენილი ნიკოლოზ ყიფშიძის ყურადღებითაა გარემოსილი, სისტემატურად მასპინძლობს თანამებრძოლებსა თუ ოჯახის წევრებს, აღარაფერს ვამბობთ ადვოკატებს, არასამთავრობოებსა და სახალხო დამცველზე, აგრეთვე ვიპ-საკანში ტელევიზორისა თუ „ადეიალის“ შეტანაზე, რასაც, სხვათა შორის, წინ უძღოდა პრეტენზიული ტუსაღის მიერ დადგმული კიდევ ერთი ცირკი, რომელმაც მჩხავანა კატა გაგვახსენა.

ჰო, მართლა, თუ გასულ კვირას ეს ჩვენი ცოდვით სავსე პოლიტდევნილი ახალმა უკრაინელმა ცოლმა მოინახულა, დღეს მისი ყოფილი ჰოლანდიელი თანამეცხედრის ჯერია და, ვიმედოვნებთ, არც ის მოაკლებს სიძვის დიატთა აღიარებულ გულთამპყრობელს თანაგრძნობასა და ალერსს.

მოკლედ, ასეთ განცხრომაში გაილია გმირი მთავარსარდლის მიერ ვირის აბანოში ნებაყოფლობით გატარებული პირველი კვირა.

გაძლება მოგცეს უფალმა, ნიკალაევიჩ, წინ ხომ ხანგრძლივი ბაირამობა გელის პარაშასთან...

გია პლატონიშვილი



არჩევანი მე, არადანი შენ,

ანუ განთავისუფლება ისევ სამეგრელოდან უნდა დაიწყოს!

ის გიჟური ისტერიკა, რაც დღეს მეფობს საქართველოში, სრულიად მოსალოდნელი, თანაც ადვილად პროგნოზირებადი იყო. მთლად გამოთაყვანებული უნდა ყოფილიყავი, რომ ეს ვერ შეგემჩნია. ოპოზიციამ იმდენი იძახა, ვიმარჯვებთო, იმდენად დააჯერა ამაში თავი, იმდენი აკოწიწა თანამებრძოლთა ერთობა, ანუ არჩევნებში ერთიანი ფრონტით ლაშქრობა, რომ წაგებამ ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა და უმალ მოიმარჯვა ნაცადი ნიშადური: „ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა, ოპოზიციას ხმები მოპარაო.

ნაცმოძრაობას და მის წურბელა, კაპიკიან პარტიებს განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა იმან, რომ „ოცნებამ“ მოიგო მთავარი – ფაქტობრივი რეფერენდუმი, შორს გასცდა 43%-იან ზღვარს და ერთხელ და სამუდამოდ ჩაკლა რიგგარეშე არჩევნების მყარად ჩამარყუეებული იდეა. 64 ოლქიდან დამაჯერებლად მოიგო 44 ოლქში, ხოლო 20 ოლქში განმეორებითი არჩევნები დაინიშნა.

2 ოქტომბერს ასიათასობით თანამოქალაქესთან ერთად ყურებდაცქვეტილი ვადევნებდი თვალს არჩევნების მიმდინარეობას „ტვ პირველით“. საზიზღარი სანახაობა იყო. ამ ნაცპარტიული ტელეარხის საგანგებოდ გათვლილმა და შერჩეულმა ენადწასულმა ჟურნალისტებმა „სენსაციების“ ნიაღვარი დაგვატეხეს.

ნატო გოგელიამ ოზურგეთში ერთ-ერთი საარჩევნო უბნის 100-მეტრიანი „აკრძალული ზონის“ სიახლოვეს ბერიკაცი დალანდა, რომელსაც მანქანის ახდილ საბარგულში „ფანტა“, პური და ყველი დაეწყო და ტრაპეზს აპირებდა. იგი ქორივით დააცხრა, ვინ ხარ და რა უფლებით ქეიფობ აქო. ტელემაყურებელს კი ხაფი ხმით ამცნო, ასეთი საეჭვო ხალხით არის აქაურობა სავსე და გაყალბებას ცდილობსო.

სესილი ბოკერია ზუგდიდიდან გვარწმუნებდა, რომ ელექტროშოკებით შეიარაღებული ოცნებელი „ძველი ბიჭები“ ატერორებდნენ ამომრჩეველს.

მირანდა ბაღათურიამ დმანისის ერთ-ერთ უბანზე „დიდი შეთქმულება“ აღმოაჩინა – საარჩევნო კომისიას სუფრა აქვს გაშლილი და არყით უმასპინძლდება ამომრჩევლებს, რომლებიც შემდეგ „ოცნებას“ აძლევენ ხმასო. „მტკიცებულებად“ კადრში ჩანდა გრძელი, თავლის მსგავსი შენობა, რომლის ერთ თავში საარჩევნო უბანი იყო, მეორეში კი სასადილო წინა დღის აულაგებელი მაგიდებით, რომლებზეც, სხვათა შორის, არყის არცერთი ბოთლი არ ჩანდა, ლიმონათის და წვენების ჭურჭელი კი – ბლომად.

ბათუმში თამთა დოლენჯაშვილი მესამე ქუჩამდე დობერმან-პინჩერივით მისდევდა დამფრთხალ ქალს, რომელიც თურმე ფულს ურიგებდა მოსყიდულ ამომრჩეველს.

მარნეულში სოფო მურთაზაშვილმა მიკროფონთან იხმო ვიღაც „ნეიტრალური“ პიროვნება, რომელმაც დაბეჯითებით განაცხადა, როგორც ჩვენთან, ისე მთელ საქართველოში ყალბდება არჩევნები სუსის და პოლიციის დახმარებითო.

სტუდიაში კი მორჭმით ისხდნენ ინგა გრიგოლია და დიანა ტრაპაიძე და დიდი სიხარულით ავრცელებდნენ ეჭვ-ვარაუდებს, რომ ამ საღამოს შეიძლებოდა რაღაც მომხდარიყო. განსაკუთრებით იმას აწვებოდნენ, „რიკოთი საეჭვოდ არის ჩახერგილი, შეიძლება განგებაც, რადგან რაღაც საშიშს ელის ხელისუფლებაო“.

ერთი სიტყვით, დღეს რომ ალიაქოთია ატეხილი, არიქა, არჩევნები გაყალბდაო, ამას კაი მძლავრი საძირკველი „ტვ პირველმა“ ჩაუყარა 2 ოქტომბერს. ინგა და დიანა მზად იყვნენ, ყოველ წუთს გადმოსულიყვნენ ეკრანიდან და კვერნებივით ყელი გამოეჭამათ „ოცნების“ ხმოსნებისთვის.

ოპოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარ შემთხვევაში არ აპირებს დამარცხების აღიარებას და მეორე ტურისთვის სამართებელივით ილესავს კბილებს. მის ამ მზადებას მხარს უბამს რუსთავის ციხეში თაფლის და წვენების ულიმიტო დიეტით მოშიმშილე ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (რჩევა სიმშილობის მოყვარულთათვის: თაფლს უყვარს, როცა კარაქთან ერთად ჭამენ).

მაგრამ სააკაშვილი ციხეში მარტო თაფლით კი არ შიმშილობს, გონებრივ შრომასაც ეწევა. მან, როგორც ლენინმა რაზლივში, თივის კარავში მიმალულმა, დაწერა ოქტომბრის რევოლუციის მონახაზი და სერგო ორჯონიკიძეს გაატანა პეტროგრადში ამხანაგებთან, ისე მიშამ დაწერა და თავის ადვოკატს, ტელეარხ „მთავარის“ დირექტორს ნიკა გვარამიას გამოატანა მიმართვა ნაცმოძრაობის მხარდამჭერებისადმი, ანუ აჯანყების გეგმა, რომელმაც მეორე ტურის შემდეგ უნდა იფეთქოს: „ივანიშვილის მთავარი მიზანი, ისევე, როგორც თავის დროზე „მხედრიონისა“, არის სამეგრელო. ის უკანონობა,რასაც სჩადიან ზუგდიდში და აპირებენ სენაკში და სხვაგან, არ უნდა შერჩეთ. მე მქონდა შესაძლებლობა წინა დღეებში ჩამესუნთქა სამეგრელოს ჰაერი. ეს შეუცდომლად არის თავისუფლების ჰაერი. საქართველოს გათავისუფლება ისევ სამეგრელოდან უნდა დაიწყოს“.

ესე იგი, ისევ სამეგრელომ უნდა დადოს ლიანდაგზე თავი კაცია მუნჯაძესავით.

იმდენად ადვილი შესამჩნევია, თუ რა ბომბი დევს „სამეგრელოს გამორჩევაში“, ანუ კუთხურობის კიდევ ერთხელ აღზევებაში, რომ ამას, დარწმუნებული ვარ, ისეთი პიტალო სირეებიც კი მიხვდებიან, როგორებიც ნუგზარ წიკლაური და გიორგი ბარამიძე არიან.

მიშას ამ გეგმას, ალბათ, უკვე ოპერატიულად ამუშავებენ ჩვენი პოლიტიკური ელიტის უპირველესი წევრები, სამეგრელოს შვილები: მელია, ხოშტარია, ბოკერია, ბოკუჩავა, უგულავა, გვარამია და სხვები.

ეს ბრძოლა უკვე დაიწყეს ზუგდიდში ნაცმოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ და მისმა სეფე ძალებმა ელენე ხოშტარიამ და ეკა ხერხეულიძემ – პარასკევს თავს დაესხნენ საოლქო საარჩევნო კომისიას და სისხლი ადინეს, დიდი, სამარცხვინო ხმაური ატეხეს, კომისიის მუშაობა ჩაშალეს.

ხმაურები აწი ნახეთ!

ნაცმოძრაობა ობლად არ არის. მას ფაქტობრივად შეერწყნენ „დამოუკიდებელი“ ერთპროცენტიანი პარტიკუნები, რომლებიც არჩევნებშიც „დამოუკიდებლად“ მონაწილეობდნენ და ვითომ ნაცების მოსისხლეებიც იყვნენ. ნაცმოძრაობის ერთგულებაზე წინა დაიცვითეს „ლელოს“ ლიდერებმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, „გირჩის“ მამამძუძემ ზურაბ ჯაფარიძემ და სხვებმა. წინა დასაცვეთად მზად არის პარტია „საქართველოსათვის“ ლიდერი გიორგი გახარია, ხოლო „პატრიოტთა ალიანსის“ დიასახლისის ირმა ინაშვილის საჯარო რიტორიკა შინაარსით, სამიზნით, სუნითა და ფერით ძალიან უახლოვდება, მაგალითად, ნაცმოძრაობაში ჭიპმოჭრილ, უცხვირპირო სალომე სამადაშვილისას.

ამდენად, „ოცნებას“ მეორე ტურამდე მიღწევა და მერე ამ ტურის მოგება „ყველა ერთის წინააღმდეგ“ რეჟიმში მოუწევს.

მაგრამ სამეგრელო ვითომ ასე იოლად შეეგუება მის ბრძოლის ასპარეზად ქცევას და გადაჯერგვას? ბოლოს-დაბოლოს „მხედრიონი“ თუ იარაღით შევიდა, ნაცები ხომ მხოლოდ მიკროფონებითა და ეგზალტირებული ქალებისა და კაცების წივილ-კივილით შედიან.

უტყუარია, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს.

ამასობაში, თაკო ჩარკვიანმა სულ გაუბერა და შეაწუხა საზოგადოება. მიკროფონს არ იცილებს, ვიღაც უბადრუკი პიროვნებები ამოუჩრია იღლიაში და უმალ მიიფარებს ხოლმე უკან ფონად. და იმუქრება, იმუქრება... სულ ექსპრეზიდენტი საკაშვილი აკერია ჭრიალა ენაზე. განატრებინებს, ნეტა, ამ ქალის ტვინში ჩამახედაო.

ასე მძიმედ მივიწევთ 30 ოქტომბრისკენ და მაინც იმედიანად ვართ, ხალხის არჩევანმა უნდა გაიმარჯვოს!

ალეკო ასლანიშვილი

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის საკითხი: „თუ ეს მოხდება, აფხაზეთი არსებობას შეწყვეტს“

აფხაზეთზე საუბრისას რუსეთი სულ უფრო ხშირად ახსენებს, რომ რესპუბლიკის მცხოვრებთა 90%-ზე მეტი რუსეთის მოქალაქეა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მსგავსი რამ ოდესღაც რეალურად ხდებოდა, მაგრამ აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგების კამპანიის დასაწყისშიც კი საკმაოდ მაღალი ციფრი იყო დასახელებული. თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და არაოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის არმქონეთა რაოდენობა მოსახლეობის სრული რაოდენობის 35%-ს აჭარბებს. ბუნებრივია, რუსებიც ლამობენ, რესპუბლიკაში რუსეთის მოქალაქეთა რიცხვი მაქსიმალურად გაიზარდოს.

ამ მიზნით წელს აფხაზეთმა მოამზადა და რუსულ მხარესთან შეათანხმა პროექტი აფხაზეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტივების შესახებ. ჟურნალისტებს ეს ამბავი პრეზიდენტმა ბჟანიამ აცნობა, განაცხადა რა, რომ ხელმოწერილი დოკუმენტი რუსულ მხარეს ჯერ კიდევ 25 აგვისტოს გადაუგზავნა.

„საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას ერთი წელი დასჭირდა. ეს შეთანხმება აფხაზეთის მცხოვრებლებს რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესაძლებლობას მისცემთ“, – აღნიშნა ბჟანიამ.

აფხაზეთის წინა ხელისუფლებებს საკითხის გადაჭრა არაერთხელ უცდიათ, რადგან მოთხოვნა რუსულ პასპორტებზე, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობას სხვადასხვა სახის დანამატების მიღების, კრედიტების გაფორმებისა და მსოფლიოში მოგზაურობის შესაძლებლობას მისცემდათ, მართლაც მაღალი იყო. თუმცა რუსეთი სოხუმის მიმართვებს ყოველთვის იგნორირებდა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას საკითხის გადადებას სთავაზობდა. დაიღალა რა ლოდინით, აფხაზეთის მოსახლეობა შეეგუა იმ აზრს, რომ აფხაზური პასპორტების ამარა რჩებოდა. ზოგიერთებმა კი მზერა მიაპყრეს საქართველოს, რომელიც ყოველგვარი ბიუროკრატიული გაჭიანურებების გარეშე, დაჩქარებული წესით გასცემს აფხაზეთის ყველა მსურველ მოქალაქეზე ქართულ პასპორტს. ყველაზე ხშირად საქართველოს მოქალაქეობას ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები იღებდნენ, რომელთაც მსოფლიოს გაცნობა და უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა სურდათ. აფხაზეთის იმ მკვიდრთა რაოდენობა, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ მიღებული, დანამდვილებით ცნობილი არ არის, თუმცა თუ მოსკოვის რეაქციით ვიმსჯელებთ, ციფრი უკვე თვალშისაცემი გახდა.

იხ. 6 გვ.

ჩხრიალა გველები პატრიარქის უბეში!!!

სჯობს ბრძოლა, თუკი მშვიდობის მიღწევა მხოლოდ ბოროტებასთან შერიგებით არის შესაძლებელი...

„მას ბრალმდებლის უფლება იმიტომ ჩამოერთვა, რომ მან შეურაცხყო ოლქის (ანუ ადგილობრივი ეკლესიის) ეპისკოპოსები, უპატიოდ მოექცა კანონებს და ეკლესიის კეთილმოწესეობა დაარღვია“.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ცილისმწამებელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) თავის შეხედულებებს არ იცვლის და მისი მიმდევარი ბერ-მონაზვნების საშუალებით პროვოკაციებს აგრძელებს; მით უფრო, რომ მას უღირსი საქციელისთვის მღვდელმოქმედება აკრძალული აქვს და დანაშაულის აღიარებისთვის დრო აქვს მიცემული.

შეკითხვით, თუ რატომ არ გამოაქვს საეკლესიო სასამართლოს მიტროპოლიტისთვის სადამსჯელო განაჩენი და ამდენი ხნის განმავლობაში რატომ პატიობს ყველასთვის პატივსაცემი ადამიანის, უწმინდესისა და უნეტარესის შეურაცხყოფას, მივმართეთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს და მუდამ სასურველ ავტორს, საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილეს, ფილოსოფიის დოქტორს, მამა გიორგის (რუხაძე), და ვთხოვეთ, მკითხველისთვის განემარტა გამომწვევი მიზეზები შექმნილი ვითარებისა, რომელიც საზოგადოების არა მარტო გაკვირვებას, არამედ განრისხებასაც იწვევს.

სპარტაკ ქობულია,
მამუკა ვაშაკიძე.

კანონიკური შეფასება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმში (31.10.2019) აღნიშნულია, რომ „მღვდელმთავრებმა იმსჯელეს მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) მიერ, პათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და წმინდა სინოდის მიმართ საჯაროდ არაერთგზის გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებების თაობაზე.

წმინდა სინოდის წევრებმა აღნიშნეს, რომ ეკლესიის ისტორიაში ჩვენ ვერ ვნახავთ პატრიარქის შეურაცხყოფის მსგავს მაგალითს. უწმინდესმა ბრძანა, რომ მეუფე პეტრე იყო გამორჩეული მღვდელმთავარი, იგი იყო ახალშექმნილი ხევის ეპარქიის პირველი ეპისკოპოსი და მეტად სამწუხაროა მისი ამგვარი ცვლილება.

წმინდა სინოდის მღვდელმთავრებმა კათოლიკოს-პატრიარქის არაერთგზის შეურაცხყოფის, დაუსაბუთებელი ბრალდებების, ხშირ შემთხვევაში ცილისწამებებისა და სხვა კანონიკური დარღვევების გამო, ერთხმად მოუწოდეს მეუფე პეტრეს სინანულისკენ.

მიტროპოლიტმა პეტრემ არ სცნო თავი დამნაშავედ და არ დაეთანხმა სინოდის მოწოდებას მონანიების თაობაზე»; ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის №163 ბრძანების მიხედვით (01.11.2019), მიტრ. პეტრეს (ცაავა) განსაწესებელ ადგილად განესაზღვრა შიომღვიმის მონასტერი.

მიტროპოლიტი პეტრე არა მარტო არ დაემორჩილა სინოდის გადაწყვეტილებას, არამედ სინოდის სხდომის დამთავრებისთანავე, საპატრიარქოსთან შეკრებილი ჟურნალისტების წინაშე, განაგრძო კათოლიკოს-პატრიარქის გმობა და საშინელი ცილისწამებით შეურაცხყოფა. მან პოპულისტური მუხტის გაღვივებაც სცადა და საზოგადოებას „სრული სიმართლის“ გამოაშკარავების პირობა მისცა, თუკი წმინდა სინოდი მომდევნო სხდომას საჯაროდ გამართავდა. მაშინ, როცა საეკლესიო კანონიკით ცნობილია, რომ სინოდის სხდომებს მხოლოდ სინოდის წევრები აბარებენ და მას კონფიდენციად ვერავინ გადააქცევს.

მიმდინარე წელს (11.02.2021) გამართულ სხდომაზე „წმინდა წევრებმა იმსჯელეს აკრძალვაში მყოფ მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ქმედებებზე. ითქვა, რომ სამწუხაროდ, იგი ბოროტად იყენებს სინანულისთვის მიცემულ ვადას, მასმედიის საშუალებით კვლავ აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის წევრების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას“.

მიტროპოლიტ პეტრეს მიმართ კათოლიკოს-პატრიარქისა და მღვდელმთავრების მიერ გამოჩენილი დიდი მოთმინებისა და თავშეკავების მიუხედავად, მან მდგომარეობის გამოსწორებისკენ მისასვლელი ყველა გზა გადაღობა. უფრო მეტიც, დაუმორჩილებლობითა და ზოგიერთი სასულიერო და საერო პირის საკუთარ მხარეზე გადაბირებით, იგი ეკლესიის მოწინააღმდეგეთა გუნდის შეკრებას მუდმივად ცდილობს და, ფაქტობრივად, საეკლესიო განხეთქილებისთვის საფუძველს ამზადებს. ამიტომ საცდურისგან ქრისტიანთა დაცვის მიზნით, აუცილებელია მდგომარეობის კანონიკურად შეფასება, რათა ბოროტის მოქმედებაც შესაბამისი სასჯელი მიეზღოს. მეც აქედან გამომდინარე დავთანხმდი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას; მით უმეტეს, ყველანი ვხედავთ, რომ ჩვენი ეკლესიის მოწინააღმდეგენი, მედიის ერთი ნაწილის მხარდაჭერით, აქამდე გაუგონარ პროვოკაციებს მიმართავენ.

მოციქულთა 55-ე კანონში გარკვევით წერია: „უკუეთუ ვინმე მოყუასმან აგინოს ეპისკოპოსსა, **განიკუეთენ**. რამეთუ თქუმულ არს: „მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა „ჳრი“ (საქმ. 23,5)“. – მით უმეტეს, მორალური პასუხისმგებლობა აღმატებულია კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ არა მხოლოდ „მოყუასის“, ანუ სასულიერო პირის და ეკლესიის მსახურისა, არამედ განსაკუთრებით ეპისკოპოსისა, რომელსაც ხელდასხმის დროს უმაღლესი იერარქისადმი პირობა აქვს დადებული: „მორჩილ ვარ მრძანებისა მისისა, მივიღებ და არა რას მცირესა წინააღმდგომსა ვიტყჳ“; და კიდევ: „ვიდრემდის ვცხოვრობ, ყოველთავე შეგივრდები და ჴელდადებულ ვიქმნები თქუენ სანატრელსა და ყოვლად წმიდასა მამასა ჩუენსა და მამათმთავარსა, სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქსა ილია II-სა“, „და შეუდგებოდე ყოველთა შინა სრულიად საქართველოჲსა მამათმთავარსა, ვითარცა ჭეშმარიტსა მწყემსმთავარსა ჩემსა და მოვიჴსენებდე კანონთა მისთა“.

სწორედ იერარქიულ წესრიგზე ზრუნვაა განმაპირობებელი იმისა, რომ საეკლესიო სამართალი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ეპისკოპოსთა ბრალდების საქმეს და ბრალმდებელს მოთხოვნას უყენებს, რომ მან ბრალდების წარდგენამდე(!) წერილობითი პირობა დადოს იმის თაობაზე, რომ თუ ვერ დაამტკიცებს მის მიერ წაყენებულ ბრალდებას, მაშინ თვით მას დაედება ის სასჯელი, რომლითაც დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებული ეპისკოპოსი დისჯებოდა. აღნიშნული წერილობითი პირობის დადების წესი კონსტანტინეპოლის **მეორე მსოფლიო კრების** მამებმა დაადგინეს:

„უკუეთუ სამთავროჲსა მის ეპისკოპოსთა ვერ შეუძლონ განმართებაჲ ეპისკოპოსისა ზედა დასხმულთა მათ ბრალოგათა, მაშინ მოუ□დენ იგინი უფროჲსსა კრებასა განსაგებელისა მის ეპისკოპოსთასა, ამის მიზეზისათჳს მოწოდებულსა და ნუ პირველად წარმოიტყჳან შესმენასა, ვიდრემდის არა შეძლონ **ნერით სიტკბითცე**, ვითარმედ სწორი მისი მიე□ადოს მათ პატიჟი, უკუეთუ გამოძიებასა შინა მათ საძმეთასა ემხილოს ცილისმწამებელობაჲ შესმენილისა მის ეპისკოპისისაჲ“ (**კან. 6**).

რამდენადაც მიტროპოლიტმა პეტრემ არა კანონთა დაცვით, არამედ მათი უგულებელყოფით გამოიჩინა თავი, **იმავე მეექვსე კანონში** ეკლესიის მტერთა მიმართ გამოხატული დამოკიდებულება ანალოგიურად მასზეც ვრცელდება: „მრავალნი არიან, რომელთა საეკლესიოჲსა კეთილად წესიერებისა შერევაჲ და გარდაქცევაჲ ჴნებავს და მტერობისმოყუარებით და ცილისმწამებლობით მიზეზთა რათმე შესარყეველად განმგებელთა ეკლესიისათა მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა შესთხზვენ არარაჲს სხჳსათჳს, თჳნიერ რაჲთა დააკნინონ პატივი მღდელთაჲ და შფოთნი აღადგინნენ მშჳდობით მყოფისა ერისა შორის“.

ამასთანავე, ვინაიდან მიტრ. პეტრემ „წერით სიმტკიცე“ არ დაიცვა, სინოდის განჩინებამდე თავისი ცილისმწამებლური განცხადება გაასაჯაროვა და მის განსახილველად წმიდა სინოდის სხდომის ღიად გამართვაც კი მოიითხოვა, **იმავე მეექვსე კანონის** საფუძველზე მას უკვე **ბრალმდებლის უფლებაც ჩამორთმეული აქვს:** „უკუეთუ ვინმე პირველ წარმოთქმულთა ამათ განჩინებასა გარდაჰ□დეს და შეურაცხ-ყონეს და ანუ სამეუფოთა სასმენელთა ჩივილით აღშფოთებაჲ იკადროს, ანუ სოფლიოთა მთავართა სამსჯავროსა მივიდეს, ანუ სოფლისაჲ კრებაჲ აღაშფოთოს, ვითარცა უპატიომყოფელმან ყოველთავე განსაგებელისა მის ეპისკოპოსთამან, ეგევითარი იგი რაჲთურთით **ნუმცა შეწყნარებულ არს შემასმენელად,** ვითარცა მაგინებელი კანონთაჲ და განმრყუნელი საეკლესიოჲსა კეთილად წესიერებისაჲ“.

კანონისტი **იოვანე ზონარას** განმარტებით: „მას ბრალმდებლის უფლება იმიტომ ჩამოერთვა, რომ მან შეურაცხყო ოლქის (ანუ ადგილობრივი ეკლესიის) ეპისკოპოსები, უპატიოდ მოექცა კანონებს და ეკლესიის კეთილმოწესეობა დაარღვია“.

ბრალდებისთვის რა სამართლიანი მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა მღვდელმთავარს პატრიარქის წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ვალდებული იყო, წმიდა სინოდისთვის თავისი ბრალდება წერილობით წარედგინა და მის გადაწყვეტილებას დალოდებოდა, მაგრამ ეკლესიაში შფოთის შემოტანის სურვილმა მას ყველა კანონიკური და მორალური ზღვარი გადაალახვინა და იგი ცილისწამების გავრცელებას პირდაპირ ქუჩიდან შეუდგა. მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი სჯულისკანონი მკაცრია მიტრ. პეტრეს მსგავს ქმედებათა მიმართ. კონსტანტინეპოლის **ორგზისი კრების** (861 წ.) განჩინებით: „უკუეთუ ვინმე ხუცესი ანუ დიაკონი, რეცა ვითარცა ბრალსა რასმე შინა პოვნითა თჳსისა ეპისკოპოსისაჲთა პირველ კრებისამიერისა განკითხვისა და გამოძიებისა და სრულიად დასჯისა მისისა განდგომად კადნიერ იქმნეს ზიარებისაგან მისისა და სახელსა მისსა საღმრთოთა შინა ლოცვითა ჟამისწირვისათა მოცემისაებრ ეკლესიისა არა მოიჴსენებდეს, ესე **განკუეთითა** დაისაჯოს და ყოვლისავე სამღდელოჲსა პატივისაგან დაკლებულ იქმნეს“ (**კან. 13**).

„ვინცა ვინ ეპისკოპოსმან მიზეზსა ცოდვისასა დამდებელმან თჳსსა მიტროპოლიტსა ზედა უწინარეს საკრებოჲსა განჩინებისა და დასჯისა მიტროპოლიტისა მის განაშოროს თავი თჳსი ზიარებისაგან მისისა და არა მოიჴსენებდეს სახელსა მისსა ჩუეულებისაებრ წმიდასა შინა ჟამისწირვასა, ამისი **განკუეთაჲ** განაჩინა წმიდამან კრებამან“ (**კან. 14**).

„ხუცესთა და ეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთათჳს განჩინებულნი ესე საზღვარნი ფრიად უფროჲსღა პატრიარქთაცა შეეტყუებიან, რაჲთა უკუეთუ ვინმე ხუცესმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ მიტროპოლიტმან იკადროს განდგომაჲ თჳსისა პატრიარქისა მიმართისა ზიარებისაგან და არა მოიჴსენებდეს სახელსა მისსა განსაზღვრებულისაებრ და განწესებულისა საღმრთოსა შინა ჟამისწირვასა, არამედ უწინარეს კრებისამიერისა განჩინებისა და სრულიადისა დასჯისა მისისა განხეთქილებაჲ ქმნას, ამისი განაჩინა საღმრთომან კრებამან, რაჲთა **ყოვლითურთ უცხო იქმნეს** ყოვლისა მღვდელობისაგან, უკუეთუ ემხილოს ოდენ ამას შინა უცხოქმნილებაჲ“ (**კან. 15**).

იოვანე ზონარა ყურადღებას ამახვილებს სიტყვაზე „ყოვლითურთ“, რადგან „ისინი მღვდელმოქმედებას დროებით კი არ უნდა იყვნენ ჩამოცილებულნი და შემდეგში ისევ თავიანთი პატივით აღდგენილნი, არამედ **სრულიად უნდა ჩამოერთვათ ღირსება** და არ უნდა დარჩეთ პატივიც კი, რომელიც მღვდელმთავრებსა და მღვდლებს აქვთ“. – ასეთია საეკლესიო სჯულის კანონები მათივე დამრღვევ სასულიერო პირთა მიმართ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, როგორ სასჯელს იმსახურებენ, ბოლო დროს პ. ცაავას ბრძანებით აღტყინებული, სამღვდელო ხარისხის არმქონე მონაზვნები, რომლებიც, სამონასტრო მორჩილების ნაცვლად, ეპარქიის მმართველის წინააღმდეგ არავითარ შეურაცხყოფას არ თაკილობენ. ფაქტობრივად, ისინი არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, საეკლესიო ოპოზიციის შექმნასა და, პოლიტიკური ოპოზიციის მსგავსად, ოფიციალური სტატუსის მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესია ასეთ „უცხოქმნილებას“ არ ცნობს და მას განხეთქილთა, ან მწვალებელთა (ე. ი. სქიზმატიკოსთა ან ერეტიკოსთა) სახელს არქმევს. სხვათა შორის, ჭყონდიდის ეპარქიის ახლანდელმა მმართველმა, მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) გამოაქვეყნა „სჯულის კანონის გზამკვლევი ამმოხებულთათვის“, რომლის მოძიება ინტერნეტით შესაძლებელია.

რაც შეეხება ჯერ კიდევ იერარქის წოდების მქონე პირთან დაკავშირებულ სამართლის აღსრულების ვადებს, გეთანხმებით, რომ პროცესი გაჯიანურდა, მაგრამ, ჩემი აზრით, დაძაბული პოლიტიკური ფონი და ანტიეკლესიური მედიის მზადყოფნა აჟიოტაჟის წარმოქმნისთვის აფერხებს სასჯელის გამოტანის დროს. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა ცრუ პოლიტიკური შეფასებები და პროვოკაციული კომენტარები მოჰყვება წმინდა საეკლესიო კანონიკურ ქმედებას, თუ ახლახან დაპატიმრებული მიხეილ სააკაშვილის სულიერ მოძღვარს მიტროპოლიტ პეტრეს ეკლესიიდან განკვეთენ. თუმცა ყველაფერი საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადასაწყვეტია და იმედი ვიქონიოთ, რომ სიმართლე საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ხოლო ქმედების სისწორეს ზნეობრივ-სარწმუნოებრივი მოთხოვნების დაცვა განაპირობებს. ამიტომ დღეს გავიხსენოთ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი სამოქმედო პრინციპი, რომელიც მეექვსე მსოფლიო კრების წმიდა მამებმა ასე განსაზღვრეს:



„სჯობს ბრძოლა, თუკი მშვიდობის მიღწევა მხოლოდ ბოროტებასთან შერიგებით არის შესაძლებელი“.

ბერდიაკონი
გიორგი (რუხაძე),
ფილოსოფიის დოქტორი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები ხელმისაწვდომია!..

საქართველოს მთავრობამ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„აღნიშნული პროგრამა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული საძოვრების რაციონალურად გამოყენების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო; პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი დაახლოებით 1,8 მლნ ჰა-ს შეადგენს, მათ შორის, დაახლოებით, 500 ათასი ჰექტარი ეროზიულია. საძოვრების ეკოსისტემას და მცენარეულ საფარს განსაკუთრებით აზიანებს პირუტყვის მრავალწლიანი ექსტენსიური ძოვება, სიმჭიდროვის ზრდა და საძოვრების არარაციონალური გამოყენება.

უსისტემო გამოყენების შედეგად, მცირდება ნიადაგის ზედაპირის ბალახოვანი საფარი. საძოვრების არარაციონალური გამოყენება და ბალახის საფარის განადგურება იწვევს ნიადაგის სტრუქტურის შეცვლას.

ახალი პროგრამის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში, გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული საძოვრის კატეგორიის 3219 ერთეული მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართი — 89 905 ჰექტარი, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და საძოვრების მოვლა-სარგებლობაზე ლეგიტიმური კერძო პასუხისმგებლობის გაჩენა, რაც თავის მხრივ, საძოვრების რაციონალური გამოყენების, ხარისხობრივი გაუმჯობესების, მეცხოველეობის განვითარების და ადგილობრივი პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ასევე, ამხანაგობას, რომელსაც შერჩეული აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვარი და, ამავდროულად განაცხადის წარდგენისას, მფლობელობაში გააჩნია იჯარის უფლებით გასაცემი საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის არანაკლებ 1 ჰა და არაუმეტეს 1.5 ჰა, ხოლო წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის — 0.2 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა).

პროექტი ითვალისწინებს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დაურეგისტირებელი საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთების გამოვლენასა და დარეგისტრირებას მათი ამ პროგრამაში ჩართვის მიზნით. ასევე მოხდება შესაბამისი კატეგორიის გარეშე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კატეგორიების დადგენა.

პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები გაიცემა აუქციონის წესით, 3-წლიანი იჯარით, ხოლო საძოვარი რომელიც მდებარეობს „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე — ერთი წლის ვადით, თუ ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებით სხვა ვადა არ იქნა განსაზღვრული“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ვის რამდენი ლარით გაეზრდება პენსია?

მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო

მთავრობამ სიტყვა არ გატეხა — **პენსიები 2022 წელსაც მოიმატებს, თუმცა ნაზარდი ამჯერად სიმბოლური იქნება — 20-25 ლარის ფარგლებში. წესით, ასეთი ინფლაციისა და ნახტომისებური ეკონომიკური ზრდის პირობებში პენსიები უფრო მეტითაც უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მეტი რესურის გამოძებნა ვერც ამჯერად მოხერხდა.**

2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, იანვრიდან ასაკობრივი პენსია იზრდება. ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიხედვით, მომავალ წელს საპენსიო უზრუნველყოფისთვის დაიხარჯება 2.885 მილიარდი ლარი (გაზრდილია 285.0 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით.

> **კერძოდ, არსებული გეგმის მიხედვით, 2022 წლის იანვრიდან, 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის გასაცემელი თანხა 20 ლარით, 260 ლარამდე გაიზრდება. ამავე კანონის მიხედვით, 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის პენსია 25 ლარით იზრდება და 2022 წლის იანვრიდან 300 ლარით განისაზღვრება.**
>
> **რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პენსიონერებს, პენსიის მოცულობა 70 წლამდე ასაკის პირთათვის გახდება 312 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის — 360 ლარი.**

ცოტა ხნის წინ პენსიის გაზრდის თაობაზე ქვეყნის პრემიერმაც ისაუბრა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ინდექსაციის სისტემამ პენსიების მუდმივად მატება-არმატების საკითხი მოაგვარა.

„ჩვენმა ხელისუფლებამ პენსიები გაზარდა. როცა ხელისუფლებაში მოვედით, 110 ლარი იყო, გაისად იქნება 300 ლარი. „მთის კანონი“ მივიღეთ და მანაც ბევრად შეუწყო ხელი გაჭირვებულ მოსახლეობას. ინდექსაციის სისტემა, რომელიც ჩვენ შემოვიღეთ, ვფიქრობ, მოაგვარებს იმ პრობლემას, რაც უკავშირდება პენსიების მუდმივად მატება-არმატების საკითხს და ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის, 2020 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ხანდაზმულთა პენსიების ინდექსაციის კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაშიც, ასაკობრივი პენსია ყოველწლიურად, მინიმუმ, 20 ლარით გაიზრდება. ინდექსაციის ფორმულის მიხედვით, პენსიის მატება დამოკიდებული იქნება ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე.

ეკონომისტი **რამაზ გერლიანი** დარწმუნებულია, რომ მთავრობას მოუწევს საპენსიო თანხის ზრდა იმის მიუხედავად, ექნება თუ არა 2022 წლის ბიუჯეტს შესაძლებლობა.

„პენსიის სიმბოლურ მატებას სჯერდება სახელმწიფო - 20-25 ლარის ფარგლებში. მისი გაზრდის ვალდებულება საქართველოს მთავრობამ აიღო პენსიონერი მოქალაქეების წინაშე. შესაბამისად, საპენსიო მიმართულებით ნაბიჯს მთავრობა გადადგამს, თუ პირდაპირი შემოსავლები არ ეყოფათ, მაშინ დამატებითი რესურსის მობილიზება მოუწევთ.

როგორც ჩას, ვერ მოახდენენ დამატებით ინდექსაციას და სწორებას მშპ-ის ზრდასთან მიმართ, მაგრამ ცვლილება, მინიმუმ, ინფლაციის მაჩვენებელს მაინც უნდა ემყარებოდეს. მოგეხსენებათ, 12%-ზეა ინფლაცია ასული და პენსიები კი ამ მასშტაბით არ იზრდება“, — დასძინა გერლიანმა.

ბექა დანელია

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის საკითხი: „თუ ეს მოხდება, აფხაზეთი არსებობას შეწყვეტს“

(მეოთხე გვერდიდან)

სხვა რით ავხსნათ მოსკოვში მოულოდნელად გაჩენილი „სურვილი“, რუსეთის მოქალაქეობის გაცემის პროცესი გაიაზლონ და აფხაზეთის რაც შეიძლება, მეტი მკვიდრი აქციონ თავის მოქალაქედ?!

ასეა თუ ისე, პროცესი დაწყებულია და როგორც პრეზიდენტმა ბჟანიამ აღნიშნა, საკითხი წლის ბოლომდე გადაიჭრება.

მაგრამ მთელ ამ ეპოპეას არაერთი წყალქვეშა რიფი ახლავს თან, რომელიც ბჟანიას არ უხსენებია.

ორმაგი მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების სქემამ ამჯერად ცვლილება განიცადა. იგი ეხება რუსეთის 10 ათას მოქალაქეს, რომელიც, ახალი შეთანხმების თანახმად, აფხაზურ პასპორტებს მიიღებს. ეს მნიშვნელოვანი პუნქტი ასლან ბჟანიას მიერ მოსკოვში ჯერ კიდევ ზაფხულში განიხილებოდა და რაკი კრემლმა მისგან თანხმობა ვერ მიიღო, რუსებიც არ თანხმდებოდნენ ახალი შეთანხმების გაფორმებას.

„ხმები იმის შესახებ, რომ ჩვენებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების სანაცვლოდ რუსეთის მოქალაქეები აფხაზურს მიიღებენ, დიდი ხანია, დადის. აქამდე, სიმართლე გიხთრათ, არ მინდოდა, დამეჯერებინა. ჩვენ ხომ „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი გაგვაჩნია და ვფიქრობდი, მისი გვერდის ავლით როგორ იმოქმედებენ-მეთქი? მაგრამ ახლა მესმის, რომ ეს ყველაფერი რეალურია. რაკი ამდენი მცდელობის მიუხედავად, რუსებს ჩვენთან საკუთრების შეძენის ნება არ დავრთეთ, გამოსავალი იპოვეს ამ სახით“, — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე რაფაელი.

„თუკი რუსებს თუნდაც ერთხელ მივცემთ ჩვენი მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას, ამით გავხსნით პანდორას ყუთს, რაც საბოლოოდ ჩვენს სახელმწიფოს გაანადგურებს! დავიჯერო, ჩვენს ხელისუფლებას არ ესმის, რომ მსგავსი გადაწყვეტილების რეალიზების შემთხვევაში აფხაზები უბრალოდ გავითქვიფებით და უმცირესობაში აღმოვჩნდებით საკუთარ სახელმწიფოში?! თუმცა რომელ სახელმწიფოზეა საუბარი? — ფიქციაღაა მხოლოდ დარჩენილი. აფხაზეთი სადღეისოდ მდიდრებისა და უგუნური ჩინოსნების ქვეყანაა, რომლებიც საკუთარ სარგებელსა და ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევენ“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი გიორგი.

ყველა ჩვენი თანამოსაუბრე დარწმუნებულია, რომ თუკი რუსეთის მოქალაქეებს აფხაზური პასპორტები დაურიგდებათ, ისინი აფხაზებს არათანაბარ პირობებში ჩააყენებენ.

„ჯერ — ისინი, შემდეგ — მათი ოჯახების წევრები და სულ მალე 10 000-ის ნაცვლად, მივიღებთ ასსაც, ორასსაც და სამას ათასსაც. მერე ისინი აგვირჩევენ პრეზიდენტს, საკუთარი ინტერესისამებრ შეგვიცვლიან კანონებს, ხოლო თუ მოუნდათ, რეფერენდუმსაც ჩაგვიტარებენ რუსეთთან მისაერთებლად. და პრეტენზიასაც ვერ წაუყენებ: გვეტყვიან, აფხაზეთის მოქალაქეებმა მისცეს ხმაო! რა არის ეს, თუ არა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების ღალატი?! ამ ყველაფერმა იმაზეც კი დამაფიქრა, გვიღირდა კი საერთოდ ქართველებთან ომი, რათა საბოლოოდ რუსეთს ჩავეყლაპეთ და როგორც ეთნოსი, გავმქრალიყავით? მებრალებიან დაღუპულები, ჩვენც ცოდონი ვართ — ცოცხლად გადარჩენილები. მსგავსი მოღალატეობრივი ნაბიჯების შედეგებს ვფიქრობ, ვეღარასოდეს დავაღწევთ თავს. აღარ იარსებებს აფხაზეთი, თუ ეს ყველაფერი მოხდა“, — დარწმუნებულია ჩვენი თანამოსაუბრე მიხეილი.

მოსახლეობის შეშფოთება გასაგებია: რუსებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების უკან ხომ არა მხოლოდ აფხაზურ მიწაზე უცხოელი მესაკუთრეების არშემოშვების სურვილი დგას, არამედ ასიმილაციის ძალზე რეალური საფრთხეც. არაა საკმარისი, რომ რუსი სამხედროების უმრავლესობა და მათი ოჯახების წევრები აფხაზურ პასპორტსაც იღებენ და მასთან ერთად ხელშეუხებლობასაც?!

მთელ ამ ისტორიაში არის ერთი უცნაური მომენტი. თავად შეთანხმების ტექსტში რუსეთის მოქალაქეების შესახებ სიტყვაც არ წერია. ამის შესახებ მონაცემები დამატების ტექსტშია, რომელიც ნაკლებ სავარაუდოა, ოდესმე განსაჯაროვდეს.

„საიდან მოვიდა ეს ციფრი - 10 ათასი? ეს რა, ვინმეს დაკვეთაა, თუ რაღაც პროექტებისთვის სურთ რუსებს, აქ 10 ათასი მათიანი ჰყავდეთ? დარწმუნებულები ვართ, ეს ციფრი შემთხვევითი არ არის. შესაბამის სიაში მოხვდებიან გარკვეული პირები, რომელთაც მოსკოვი აქ რაღაცას დაავალებს. ამბობენ, ამ ადამიანების ნაწილი ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე და გალის რაიონში განთავსდებაო. ღმერთმა იცის, იქ რას გააკეთებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება აფხაზეთისა და აფხაზი ხალხისათვის სასიკეთო საქმიანობა“, — თვლის ჩვენი რეპონდენტი დაური.

მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ ინფორმაციამ ხალხში მაინც გაჟონა. აღშფოთებას პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია, თუმცა უკვე ისმის. არ ვიცი, როგორ შეაგნებინებს აფხაზური საზოგადოება თავის ხელმძღვანელობას მსგავსი წამოწყების მთელ დამღუპველობას, მაგრამ თუ ეს დროულად არ გაკეთდა, დაიწყება შეუქცევადი პროცესი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ველარასოდეს ვიხილავთ ნათელ მომავალს, რომლისთვისაც აფხაზებმა 28 წლის წინ საკუთარი სისხლიც დაღვარეს და სხვისიც.

კრისტინა ავიძბა

ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი

Beka Beridze (RFE/RL)

ლხინი ომში კრამიტით...

როცა ღვინო სადღეგრძელოებს სჯობს...

საქართველოში, ეპიდემიისა და დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ბევრი ადამიანი მისცემია ლხინს და ღვინის სმას ჭიქით, ყანწით ან სულაც კრამიტით. არადა, ქვეყანა ომში იმყოფება, ვირუსთან ომში! თუმცა ვინ თქვა, რომ ომი და ლხინი ერთმანეთს გამორიცხავენ? შალვა ამირეჯიბი — მწერალი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, პირველი რესპუბლიკის წლებს სწორედ ამ ორი სიტყვით — ომითა და ლხინით — აღწერს.

„სამი წელი გამუდმებით ომში ვიყავით. აქედან იყო ეს გამუდმებული ლხინიც, თანამავალი ყველა ომების, ჯერ კიდევ ჰომიროსის დროიდგან“, — წერს ის მოგონებების ერთ-ერთ ფრაგმენტში.

შულენბურგის ქუდი

საქართველოს პირველ რესპუბლიკას მართლაც გამუდმებულ ომებში უწევდა ყოფნა. შალვა ამირეჯიბი ამ „გამუდმებული ომებიდან“ გამოყოფს ოსმალეთთან ომს, ახალციხის ოპერაციებს, სომხეთთან ომს, გლეხების აჯანყებას („ხან აქ და ხან იქო“), გაგრის ფრონტს, ოსების განდგომას, ტერორს ქართლში, მთელი რიგი მაზრების კანონგარეშედ დაყენებას და მიწის კანონს („რომელიც ქვეყანაზე თავდასხმას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფო რეფორმას“) — „ყოველივე ამან ისეთი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზედ, თითქოს ამ სამი წლის განმავლობაში გამუდმებულ ომში ვიყავითო“, ამბობს შალვა ამირეჯიბი, რომელიც იქვე, ემიგრაციაში დაწერილ მოგონებებში, იხსენებს გამუდმებული ლხინის მაგალითებიდან ერთს, ბანკეტს ქართულ კლუბში, სადაც საქართველოს მთავრობამ უმასპინძლა გერმანული და ავსტრიული მისიების წარმომადგენლებს.

შალვა ამირეჯიბი

როცა მთავრობა და მისიის ოფიციალური წარმომადგენლები წავიდნენ, გენერალმა ვასილ გაბაშვილმა დარჩენილ გერმანელებს ახალი სუფრა გაუშალა. ისხდნენ დიდხანს და სტუმრებიც სიამოვნებით სვამდნენ ქართულ ღვინოს, მაგრამ ბანკეტი არც ამით გათავდა. შალვა ამირეჯიბის თქმით, ნამდვილი ახალი სუფრა კლუბის ოფიციანტებმა გაუშალეს გენერალ გაბაშვილს, რომელიც ტფილისში „მუდამ დიდი ვინმე იყო“, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პირველ ქართულ ჯარს მთავარსარდლობდა.

„როცა ყველაფერი გათავდა, გრაფი შულენბურგი (გერმანიის კავკასიური ექსპედიციის დიპლომატიური წარმომადგენელი) სახლში მე გავაცილე“, — იხსენებს შალვა ამირეჯიბი, — **„დილის მეშვიდე საათი იყო, ტფილისი ახლად იღვიძებდა. მხოლოდ თავისუფლების მოედანზედ შევნიშნე, რომ კაიზერის წარმომადგენელს და კუზენს თავზე ქუდი არა ჰქონდა და არც ხელში ეჭირა. შულენბურგი ძველი „ტფილისელი“ იყო. ომის წინ ჩვენში კონსულად იყო და ჩვენებური ღვინის ძალა კარგად იცოდა, მაგრამ ეტყობა ამ ღვინოს სავსებით ეჯობნა დღეს. დავბრუნდით ქუდის მოსაძებნად და შემდეგ სურათს წავაწყდით: „დელეგაციას“, რა თქმა უნდა, ჩვენსავით შეზარხოშებულს, დიდის მოწიწებით მოჰქონდა ეს ქუდი ალბად გრაფის ბინაზედ“.**

ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი

მომქანცველი ქეიფები და ბარონი კრესენშტაინი

გენერალ ვასილ გაბაშვილთან — 1916-1917 წლებში თბილისის სამხედრო კომენდანტთან და დამოუკიდებელი საქართველოს ახლად შექმნილი ქართული სამხედრო კორპუსის მეთაურთან, ლხინის სუფრა გაზიარებული აქვს ბარონ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინსაც, საქართველოში გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს 1918 წელს.

„რუსეთის არმიის ყოფილი გენერლის გაბაევის — ძალზე ავტორიტეტული, ღირსეული და განსაკუთრებულად თავაზიანი ძველი ყაიდის ქართველის — მიპატიჟებამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა, ქართველების სტუმართმოყვარეობას ოჯახში გავცნობოდით“, — წერს გენერალი კრესენშტაინი მოგონებების წიგნში **„ჩემი მისია კავკასიაში“, — „ეს წვეულებაც მხოლოდ 10 საათზე დაიწყო. ისინი, ჩვეულებრივ, ალიონამდე გრძელდება ხოლმე და დიდ მოთხოვნებს უყენებდა მონაწილეთა სმისუნარიანობას. ზოგიერთ ჩემს მხლებელთაგან განსხვავებით, მე ამ პირობებს საკმაოდ ვაკმაყოფილებდი. დიდი მსგავსება ვნახე ქართველების და ჩვენებური სტუდენტური ღვინის სმის ნორმებს შორის. ბევრი სასმისის დაცლა, საჯარიმოების შესმა და სხვა ამდაგვარი, თამადის მეთაურობით, ქართველებში ჩვეულებრივი ამბავია. ამ დროს ხმარებაში იყო ძველებური ქართული, სპეციფიკური სახის, კოვზისმაგვარი, კეთილშობილი ლითონისგან დამზადებული სასმისები.“**

ვასილ გაბაშვილი, გენერალი

ge (Courtesy Photo)

ვასილ გაბაშვილთან სტუმრობისას ბარონი კრესენშტაინი უკვე გაშინაურებული იყო თბილისურ „გამუდმებულ ლხინთან“, რომელსაც პირველად თბილისში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში ეზიარა, როცა საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ ბაღში მის პატივსაცემად ნადიმი გამართა:

„ნადიმზე რამდენიმე ასეული კაცი იყო მიწვეული, მათ შორის ადგილზე მყოფი ყველა გერმანელი, ავსტრიელი და ბულგარელი სტუმარი. საღამოს 9 საათისათვის ვიყავით მიპატიჟებულნი. თავიდან, ბრწყინვალე დელიკატესებით და სპირტიანი სასმელებით გაწყობილ მაგიდებთან, ფეხზე მდგარნი მივირთმევდით ყველანი ერთად „ზაკუსკას“, შემდეგ ადგილები დავიკავეთ ღია ცის ქვეშ გაწყობილ უზარმაზარ მაგიდებთან. თვითონ მე პრემიერ-მინისტრის გვერდით ვიჯექი, საჭმელი ნამდვილად შესანიშნავი იყო, მაგრამ ისე ნელ-ნელა მოჰქონდათ, რომ საათნახევარ-ორ საათს სუფრასთან ჯდომა გვიწევდა“.

ბარონ კრესენშტაინს კარგად დაამახსოვრდა ეროვნული სიმღერები და გრაციოზული, აკრობატული ცეკვები, რომლებიც, მისი თქმით, „მნიშვნელოვნად ამოკლებდნენ დროს კერძებს შორის“.

„კარგად და ბევრი ღვინო შეისვა. მე შესაძლებლობა მქონდა, ბევრ სხვა ამდაგვარ გულუხვ საზეიმო სუფრასაც დავსწრებოდი. ოპოზიციური გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენს პატივსაცემად გამართული საზეიმო მიღება 40 ათასი მანეთი დაჯდაო, რაც მაშინდელი არანორმალურად დიდი ფასების და რუბლის გაუფასურების პირობებში სავსებით შესაძლებელია“-ო, — ამბობს გერმანელი გენერალი და იქვე მსუბუქი ირონიით ახსენებს საქართველოს მთავრობის მემარცხენეობას, **„ასეთი შემთხვევის დროს პატივცემულ მინისტრებს სრულიად ავიწყდებოდათ, რომ ისინი სოციალ-დემოკრატები იყვნენ“-ო.**

თუმცა ბარონი კრესენშტაინი მალე დარწმუნდა, რომ „გამუდმებულ ლხინში“ თანაბრად მონაწილეობდნენ როგორც მემარცხენეები, ასევე მემარჯვენეები, როგორც მდიდრები, ასევე ღარიბები და, რომ იდეოლოგიური კუთვნილება, ამ კუთხით, მნიშვნელოვანი ფაქტორი არ იყო.

„რამდენადაც კავკასიელები და, განსაკუთრებით — რაინდული სულისკვეთების ქართველები თავაზიანი და სტუმართმოყვარენი არიან, იმდენად არაჩვეულებრივად მომქანცველია სამუშაოდ განწყობილი კაცისათვის მათი ქეიფები და ხალისიანი საღამოები. ყოველი სუფრა გათენებამდის გრძელდება და ძალიან ბევრი ღვინო უნდა სვა კაცმა. შესაბამისად, სამუშაო დღეც გვიან იწყება - 11 საათამდე უმაღლესი თანამდებობების პირებს ვერ ნახავდი სამსახურში და ნასადილევს, უმეტეს შემთხვევაში 3 საათისათვის, ყველაფერი მთავრდებოდა...“

თუმცა გერმანელი გენერლის ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სრულიად გულგრილი იყო მასპინძლების ამგვარი „მომქანცველი ქეიფების“ მიმართ. წერს კიდეც, ჩემს სახლშიც იმართებოდა ხალისიანი საღამოები, სადაც გერმანელ, თურქ და ქართველ ოფიცრებთან ერთად , ხშირად მსტუმრობდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებიო.

„მგონია, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ მიცხოვრია ისე კარგად, როგორც თბილისში ხანმოკლე ყოფნისას... სამწუხაროდ, ყველა ჩემი თანმხლები ვერ იტანდა თბილისის ჰავას და ბევრ ალკოჰოლს, ამიტომ ჯარში ავადმყოფთა რიცხვი საკმაოდ მაღალი იყო. მინდა ვირწმუნო, ამაში კლიმატურ პირობებს უფრო ნაკლები ბრალი მიუძღოდა, ვიდრე ცხოვრების არაგონივრულ წესს“, — წერდა სამშობლოში დაბრუნებული ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი.

ხუთსაათიანი ვახშამი

იშვიათია უცხოელი, რომელსაც ქართული კულტურისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის უორდროპების ოჯახზე მეტი აქვს გაკეთებული, ვისაც უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ელიტასთან, თუმცა სერ ოლივერ უორდროპი — ამიერკავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბრიტანეთის მთავარი რწმუნებული 1919-1921 წლებში, ბოლომდე მაინც ვერ შეეგუა ქართველთა „გამუდმებულ ლხინს“.

„გუშინდელმა დღემ ჩემი დიდი ძალისხმევა წაიღო... მეჯავრება ზეიმები!.. ხუთსაათიანი ვახშამი ნამდვილი სასჯელია!“, — ვკითხულობთ ბრიტანელი დიპლომატის მიერ ცოლისთვის გაგზავნილ წერილებში.

„რამდენიმე დღის წინ კოწია ერისთავს შევპირდი, რომ ოთხზე მასთან ერთად ვისადილებდი. თავის არიდება აღარ გამოვიდა. სადილს ოცზე მეტი ადამიანი დაესწრო, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი და სხვები. დიასახლისისა და მისი ქალიშვილის გარდა, ყველა მამაკაცი იყო. კაცები მღეროდნენ, გიტარაზე უკრავდნენ და სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამდნენ, მაგრამ შვიდი საათი არ იყო, როცა იქაურობას გამოვეცალე“, — წერს ოლივერ უორდროპი, თუმცა, როგორც წერილებიდან ირკვევა, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა გაცლა.

იხ. 9 გვ.

რეგიონი ახალი დაპირისპირების ზღვარზე!

ახლად ომგადატანილ რეგიონში, სადაც ყარაბაღის კონფლიქტის მეორე ეპიზოდის შემდეგ ჩამოყალიბებული სტატუს-კვო კონტურებს ჯერ კიდევ იძენს, დაძაბულობის ახალი კერა გაჩნდა. საქმე ამჯერად აზერბაიჯან-ირანის გამწვავებულ ურთიერთობებს ეხება, რომელიც 12 სექტემბერს, აზერბაიჯან-თურქეთ-პაკისტანთან ერთობლივი სამხედრო სწავლებების შემდეგ გახდა განსაკუთრებით თვალსაჩინო, რასაც მოჰყვა ირანის უმაღლესი ლიდერის გაღიზიანება, „ნუ ეთამაშებით „ლომის კუდსო“. ბოლო პერიოდში ორ მეზობელს შორის პრობლემებმა იმატა, მაგრამ პროცესზე დამკვირვებლები დაპირისპირებას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავენ და მხარეთა პოზიციონირებიდან გამომდინარე, მოვლენათა შესაძლო განვითარების კუთხით, ამ ეტაპზე პროგნოზები არც თუ კეთილსაიმედოა, შესაბამისად, საქართველოს წინაშეც რთული ამოცანები იჩენს თავს.

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **გიორგი გოგორნიძე „აძცენტთან“** განმარტავს, რომ ირანის არახალ შეშფოთებაში რამდენიმე ფაქტორი თამაშობს სერიოზულ როლს:

- **„სამხრეთ კავკასიის რეგიონში აზერბაიჯანის გაძლიერება ასევე გულისხმობს მისი ძირითადი მოკავშირის — თურქეთის გაძლიერებას, რაც თურქეთს ხელს უხსნის უფრო მეტად პროაქტიული პოლიტიკის გატარებისკენ მთლიანად კასპიის ზღვის აუზში, რაც ასევე მოიცავს ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. ამას ემატება ცენტრალური აზიის კიდევ ერთი სახელმწიფო — პაკისტანი. ძალთა ბალანსის აღნიშნული ცვლილება კი ირანისთვის პრობლემურია;**
- **გარდა ამისა, ირანი ყურადღებით აკვირდება აზერბაიჯანის მზარდ სამხედრო პარტნიორობას ისრაელთან. თუნდაც ყარაბაღის მეორე ომში კარგად გამოიკვეთა, რომ აზერბაიჯანის თანამედროვე აღჭურვასა და შეიარაღებაზე არა მხოლოდ თურქეთი, ებრაული სახელმწიფოც ზრუნავდა;**
- **ამასთან, ირანი ცდილობს, ჩართულ იქნას „ღერძში“, რომელიც გულისხმობს სომხეთის, ირანის და რუსეთის მონაწილეობას. პოტენციური რისკი იმისა, რომ აზერბაიჯანის არმია შეიძლება, შეეცადოს სიუნიკის (სომხური რეგიონი, რომელიც აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიას ნახჭევანისგან აშორებს) ოლქის დაკავებას, კიდევ ერთ დამატებითი მიზეზია ირანის შეშფოთებისთვის“.**

შესაბამისად, მკვლევარის ანალიზით, შეშფოთებული ირანი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს სახელმწიფო, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ცენტრალური აზიის და კავკასიის მიმართულებით გააჩნია თავისი სტრატეგიული ინტერესები და ახდენს კიდეც ძალის დემონსტრირებას:

„ლოგიკურია, რომ ორივე მხარე ცდილობს, მოახდინოს საკუთარი ძალის დემონსტრირება. რა თქმა უნდა, სამხედრო და რესურსების თვალსაზრისით ასიმეტრია ირანსა და აზერბაიჯანს შორის აშკარაა და სწორედ ამიტომ აქვს აზერბაიჯანისთვის დიდი მნიშვნელობა პროცესში თურქეთის ჩართულობას“.

კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას, ჩრდილოეთ ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელების საკითხია, რასთან დაკავშირებითაც ერთგვარი მინიშნებები გაიკეთეს თურქეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა, რაც ირანში საფრთხედ აღიქვეს. ექსპერტი შიშობს, რომ ამ თემებზე აპელირებამ შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება:

„შესაბამისად, უნდა ველოდოთ, რომ ტურბულენტობა კიდევ უფრო გაძლიერდება და კიდევ უფრო მყიფე გახდება რეგიონის უსაფრთხოების გარემო“.

მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები

გიორგი გოგორნიძის დაკვირვებით, ამ ეტაპზე ესკალაციისთვის „ნოყიერი ნიადაგი“ არსებობს, ვინაიდან მხარეები დაძაბულობის შემცირებისთვის მზაობას არ ამჟღავნებენ, რაც ვითარებას რთულად პროგნოზირებადს ხდის. თუმცა მკვლევარი ელის, რომ ირანი და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი — თურქეთი შეეცდებიან საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაფიქსირებას, რაც რეგიონში თურქულ-ირანულ „ცივ ომს“ მეტ ინტენსივობას შესძენს:

„ვხედავთ, რომ არც ერთი მხარე არ ცდილობს დაძაბულობის შემცირებას. შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად თქმა, რომ ფართომასშტაბიანი შეტაკება არ იქნება, რთულია. ორივე მხარე აჩვენებს, რომ ისინი მკაცრად, სერიოზულად არიან განწყობილნი. ეს არ არის იოლად განმუხტვადი სიტუაცია. უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ყველაფერი „კულისებს მიღმა“ ძალიან აქტიურ და სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, უარეს შემთხვევაში, შესაძლებელია, ომი მივიღოთ. დღეს ამ ურთიერთობას უკეთესი სცენარი არ აქვს. ვითარება ჯერჯერობით დეესკალაციისკენ არ მიდის“.

რუსეთის ფაქტორი

„მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესებს რუსეთის ფედერაცია ჩუმად აკვირდება, **არ უნდა გამოვრიცხო, რომ ის ეცდება თავისი პოზიცია და სტრატეგიული ინტერესები კიდევ მეტად დაიცვას თუნდაც ირანთან კოოპერაციის ხარისხის გაძლიერების თვალსაზრისით. მით უმეტეს, მას ირანის ეს პოზიცია ერთმნიშვნელოვნად აძლევს ხელს, რადგან როგორც არ უნდა ისაუბრონ თურქულ-რუსულ პერიოდულ პარტნიორობაზე, ეს ყველაფერი ჯამში მაინც სერიოზული კონკურენციის ფონზე მიმდინარე პროცესებია. განიხილებოდა ექვსმხრივი თანამშრომლობის ფორმატიც, მაგრამ ირანის პოზიციაც აჩვენებს, რომ არანაირი ექვსმხრივი თანამშრომლობა არ გამოვა“.**

მათ შორის რუსეთის მხრიდან საკითხზე აპელირებას კი მკვლევარი უკავშირებს მცდელობას, კონტროლირებადი გახადონ ვითარება:

„კონტროლიდან გამოსული ირანი, რომელსაც შეუძლია, კავკასიაში ომი აწარმოოს, არავის სჭირდება“.

საქართველოს ამოცანა

არსებობს რისკი, რომ პროცესების ესკალაციის შემთხვევაში მასში ჩართული აღმოჩნდება საქართველოს ორი სტრატეგიული პარტნიორი და მეზობელი ქვეყანა — თურქეთი და აზერბაიჯანი, პარტნიორი მეზობელი — სომხეთი, კიდევ ერთი მეზობელი — ირანი და საგარეო პოლიტიკური მოწინააღმდეგე სახელმწიფო — რუსეთი.

„შესაბამისად, დიპლომატიური და რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო საკმაოდ სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება. კონფლიქტის აქტიურმა ფაზამ გვერდი რომც აგვიაროს, დაძაბულობასაც კი ეკონომიკური გავლენა ექნება მთლიანად რეგიონზე, მათ შორის, საქართველოზე“, — ამბობს მკვლევარი და იქვე დასძენს, რომ რეგიონში ვითარების გაუარესება ჩვენგან ითხოვს მოქნილ, სწრაფ გადაწყვეტილებებს და ტურბულენტობის ფონზე მნიშვნელოვანია, გვქონდეს გარკვეული უსაფრთხოების და დაცულობის გარანტიები. ამის მიღწევა კი მისი ხედვით, რამდენიმე გზითაა შესაძლებელი:

„ყველა პოზიცია მკაფიოდ უნდა გვქონდეს დადასტურებული და გვჭირდება ინტენსიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა დასავლეთთან, რომელიც მოიაზრება ჩვენს ძირითად პარტნიორად და საყრდენად. დასავლეთთან ჩვენი ინტეგრაციის პოლიტიკა არის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) გზა, რომ არ აღმოვჩნდეთ რეგიონის სამი გიგანტის (რუსეთი, ირანი თურქეთი) მიერ გავლენის ზონების დანაწილების პროცესში ჩართული, როგორც ობიექტი — ერთ-ერთი გავლენის ზონა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკა მეტად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ვიდრე რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, მნიშვნელოვანია, გამოიჩინონ წინდახედულობა, დიდი სიფრთხილით დააკვირდნენ მიმდინარე მოვლენებს და მიიღონ გადაწყვეტილებები, იგივე დასავლეთთან ურთიერთობების მკვეთრად გაუმჯობესების, ჩვენი რეგიონის მიმართ დასავლური ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით, ასევე პარტნიორებთან ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების წინ წამოწევისა და ამ ინტერესების ადვოკატირების კუთხით. ჩვენთვის მთავარია, აქედან მინიმალური დანაკარგით გამოვიდეთ. ეს ძალიან რთული ამოცანაა, რომელსაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება. აქ სინერგიულად უნდა იყვნენ ჩართული უსაფრთხოების სამსახურები, ეკონომიკური გუნდი, დიპლომატები, ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღები პირები და ოპოზიციონერი ლიდერებიც, რადგან ამგვარი სინერგიის გარეშე ასეთი ტიპის რეგიონულ გამოწვევასთან გამკლავება ჩვენთვის რთულია“.

ანალიტიკოსი განმარტავს, რომ საქართველო დღეს რომ იყოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ან დასავლეთის პრივილეგირებული პარტნიორი, მსგავსი გამოწვევა დღის წესრიგში არ დაუდგებოდა:

„რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ სანდო და ღირებული პარტნიორები ვიყოთ? სარგებელი უნდა იყოს ორმხრივი და ამაზე უნდა ვაკეთებდეთ ძირითად აქცენტებს. ამისთვის გვჭირდება დემონსტრირება, რომ ვრჩებით ჩვენი ვალდებულებების ერთგულნი, გვჭირდება მკაფიოდ დადასტურებული პოზიცია დემოკრატიზაციასთან, ადამიანის უფლებებთან, გახსნილობასთან, პროგნოზირებადობასთან დაკავშირებით. ჩვენ საჭირო სახელმწიფო ვართ — ვართ „ხიდი“ დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას, დასავლეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. მაგრამ ეს ფუნქცია რომ შეასრულო, მინიმუმ, ხიდი არ უნდა იყოს „ჩატეხილი“.

დღეს ჩვენ ძირითადად ქვეყნის შიგნით ძალაუფლების განაწილების პროცესზე ვართ კონცენტრირებული. ამ მოცემულობიდან რაღაც დოზით უნდა გამოვიდეთ და პროცესი სამართლებრივ ჩარჩოში მოვაქციოთ იმდაგვარად, რომ ჩვენი პოლიტიკური პროცესი არ ბადებდეს გაურკვეველ და ნეგატიურ მოლოდინს. დღეს არ გვაქვს ფუფუნება, შიდა ბრძოლას ჩვენი მომავალი გადავაყოლოთ და ეს არის პასუხისმგებლობა, რაც პირველ რიგში, მმართველმა ელიტამ უნდა გაიაზროს და შემდეგ, ჩვენი პოლიტიკური კლასის დანარჩენმა წარმომადგენლებმა“.

გერმანია და საფრანგეთი პოლონეთს აფრთხილებენ

გერმანია და საფრანგეთი პოლონეთს მოუწოდებენ, ევროკავშირის წესები სრულად და უპირობოდ დაიცვას. ამის შესახებ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

„შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის წევრობას თან ახლავს საერთო ღირებულებებისა და წესების სრული და უპირობო დაცვა. თითოეულ წევრს და, რა თქმა უნდა, პოლონეთს, რომელსაც ევროკავშირში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ამ წესებისა და ღირებულებების პატივისცემა ეკისრება. ეს არ არის უბრალოდ მორალური ვალდებულება. ეს ასევე იურიდიული ვალდებულებაა“, — ნათქვამია განცხადებაში.

7 ოქტომბერს, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ქვეყნის კონსტიტუციის ევროკავშირის კანონმდებლობაზე უპირატესობა დაადასტურა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის განჩინებაში ასევე განაცხადა, რომ ის უფლებამოსილია არა მხოლოდ ევროკავშირის კანონის კონსტიტუციურობა, არამედ ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაც შეამოწმოს.

ცეცხლი გახსნეს, მაგრამ... ფუჭი ტყვიებით

პოლონეთი ბელარუს მესაზღვრეებს ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებს. **„ბელარუსის პატრულმა საზღვარზე ჩვენი მიმართულებით ცეცხლი გახსნა. სავარაუდოდ, ფუჭი ტყვიები გამოიყენეს. არავინ დაშავებულა“,** — განაცხადეს პოლონეთის სასაზღვრო სამსახურში.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ლუკაშ იასინამ განაცხადა, რომ ბელარუსის დროებითი რწმუნებული საგარეო უწყებაში დაიბარეს ბელარუსის მხრიდან პროვოკაციების განსახილველად. 7 სექტემბერს, მიგრანტების რაოდენობის ზრდისა და რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო წვრთნების ფონზე, პოლონეთმა ბელარუსის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

როცა ღვინო სადღეგრძელოებს სჯობს...

(მემფიდე გვერდიდან)

რა გასაკვირია და ასეთი რამ შეუძლებელი აღმოჩნდა კახეთში სტუმრობისას, წინანდალში, სადაც სამთავროო ღვინის საცავები მდებარეობდა:

„ჩასულებს მასპინძლები 20 ფუტის სიმაღლის ჩირაღდნებითა და თაიგულებით დაგვხდნენ. რამდენიმე მისასალმებელი სიტყვაც წარმოითქვა. აქაურობის ხელმძღვანელმა რამიშვილმა ვახშამი უზარმაზარ წვეულებად აქცია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ღვინოები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები“.

დუბე-დუბე სმა

ოლივერ უორდროპი

არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველო მხოლოდ სტუმრებისთვის და მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციების შესაბამისად ლხინობდა. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ილია ზურაბიშვილის „ძველი თბილისის“ პერსონაჟი, ვინმე ფანტიაშვილი, რომელიც „გიჟი სერგუშკას“ ფაეტონით ორთაჭალისკენ მიექანება საქეიფოდ და აქეთ-იქით ტროტუარებზე შემხვედრ ნაცნობებს ხელის ნიშნით ეპატიჟება, წამოდითო; აქვე გავიხსენოთ ამავე მოთხრობის სხვა პერსონაჟის რამდენიმედღიანი, გადაბმული (დუბე-დუბე) ლხინობის შთამბეჭდავი დასრულება ფაეტონების მედიდური სვლით:

„აი, მძიმე-მძიმედ მოდის რამდენიმე ფაიტონი, ერთიმეორის უკან ჩარიგებული.

პირველში არავინა ზის. დევს მხოლოდ ძვირფასი ყალმუხის ქუდი ან „გარიბალდის“ ფორმისა ან მაღალი წიწაკიანი...

მეორე ფაიტონშიც არავინა ზის. დევს მხოლოდ ვერცხლის განიერი და მსხვილგობაკებიანი ქამარი...

ტასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ილია ზურაბიშვილი

მესამე ფაიტიონშიც არავინა ზის. დევს მხოლოდ წითელ-ყვითელი ფერებით აჭრელებული აბრეშუმის სარტყელი...

მეოთხე ფაიტონში ზის მეზურნეთა დასტა და „სეფილს“ უკრავს...

მეხუთე ფაიტონში ზის მარტოდმარტო ყარაჩოხელი ვინმე ჩოხაში ცალხელგაყრილი...“

აი, ასე შთამბეჭდავად ამთავრებს თბილისელი ყარაჩოხელი რამდენიმედღიან გადაბმულ ქეიფს, „ხვალ კი ისევ საქმეში ჩადგება, რათა ქეიფში დახარჯული ოფლის მონაწური შრომით აინაზღაუროს“, მერე ისევ დუბე-დუბე სმა ჭიქით, ყანწით, აზარფეშით და, როგორც ახლახან ვნახეთ, კრამიტითაც კი. როგორც თედო რაზიკაშვილმა თქვა:

დაასხი, დაასხმეინე,
დალიე, დამალეინე,
თუ ვერ დავცალე, ძალითა
ასწიე, დამაცლეინე...

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

სანდრა ზვიგენმა შეჭამა...

ვინ არის ნარკომანი?! — — —

◎ ტრადიცია

ვარსკვლავთა კვალდაკვალ

როგორც ყოველთვის, ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ტერიტორიაზე თამაშების ტრიუმფატორთა – ძალოსან **ლაშა ტალახაძისა** (მეორედ) და ძიუდოისტ **ლაშა ბექაურის** სახელობითი ვარსკვლავები გაიხსნა.

ღონისძიებას სამამულო სპორტის ლეგენდებიც ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით მიუღწეველია ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის **ვიქტორ სანეევის** რეკორდი – 3 „ოქრო“. ვიმედოვნებთ, 3 წლის შემდეგ პარიზის ფიცარნაგზე მის შედეგს თანამედროვეობის უღონიერესი შტანგისტი ლაშა ტალახაძე გაიმეორებს, ხოლო ტატამის დიდოსტატი მისი სეხნია ლაშა ბექაური დუბლს შეასრულებს და თანამემამულე კიმონოიანთა შორის პირველი გახდება, ვინც მეორედ ავა ყველაზე პრესტიჟული ფორუმის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

◎ ტატამზე

შერაზადიშვილის ტრიუმფი

იტალიის ქალაქ ოლბიაში მიმდინარე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძიუდოში გიორგი შერაზადიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა.

81 კგ წონით კატეგორიაში გიორგიმ მექსიკელი ხავიერ როსასი, ბოსნიელი მუსტაფა ჰეგბიბი, ყაზახი აიან ბაიგაზი და უკრაინელი არტემ ბუბირი დაჯაბნა. ფინალში შერაზადიშვილი რუს ადამ ტსეჩოევს გაეჯიბრა, რომელიც დაამარცხა და თანატოლთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

◎ ხალიჩაზე

ნუგზარის „ბრინჯაო“

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს დელეგაციამ პირველი მედალი მოიპოვა, რომელიც **ნუგზარ წურწუმიას** (55 კგ) ანგარიშზეა – მან „ბრინჯაოს“ დაუფლება მოახერხა.

წურწუმიამ პირველ წრეში რუსეთის წარმომადგენელ ემინ სეფერშაევთან 2:3 წააგო, მაგრამ მისი მეტოქე ფინალში გავიდა და ნუგზარი რეპეშაჟში გაიყოლა, სადაც ის ვერავინ შეაჩერა. ქართველმა მოჭიდავემ ჯერ ყაზახი ხორლან ჟაკანშა 9:0 და მერე სომეხი ნორაირ ჰახოიანი ასევე 9:0 დაამარცხა, რის შედეგადაც ბრინჯაოს მედალი ერგო.

◎ ევროლიგა

თორნიკე „ამრისხანე“

საკალათბურთო ევროლიგის მეორე ტურში მოსკოვის ცსკა სტუმრად მოქმედ ჩემპიონ „ანადოლუ ეფესს“ დაუპირისპირდა **და მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.**

დიმიტრის იტუდისის გუნდს თურქეთში რთული ბრძოლა გადახდა, მაგრამ საბოლოოდ 4 ქულის სხვაობით – 100:96 მაინც იმარჯვა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი **თორნიკე შენგელიამ** შეიტანა, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

თორნიკემ 32 წუთში 23 ქულა, 7 მოხსნა (3 შეტევაში) და 3 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა.

შენგელია ცსკა-ში საუკეთესო იყო როგორც ქულებით, ისე სარგებლიანობის კოეფიციენტით (ამ კომპონენტში ორივე გუნდში) და MVP-ის ტიტული დამსახურებულად ერგო.

მოსკოვის ცსკა-ს თითო მოგება-წაგებით მეათე ადგილი უკავია, მომდევნო ტურში კი 12 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უმასპინძლებს.

◎ კორტს მიღმა

რას ერჩოდა?

2019 წელს შანხაის მასტერსის დროს ყოფილ შეყვარებულ ოლგა შარიპოვას მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად ტრავმების მიღება და გოგონას სუიციდამდე მიყვანა – ასეთი ბრალი წაუყენეს მსოფლიოს მეოთხე ჩოგან ალექსანდრ ზვერევს, რომელიც ოჯახურ ძალადობაშია ეჭვმიტანილი. გამოძიება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ დაიწყო.

ტოკიოს ოლიმპიადის გერმანელი ჩემპიონი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

◎ გამოიცა

დაცვის ბურჯი

ბარნოვის 14-ში ჩემი კლასელები ცხოვრობდნენ და გაკვეთილების შემდეგ ხშირად ვაგორებდით ბურთს მოპირდაპირე მხარეს მდებარე 56-ე რუსული საშუალო სკოლის ეზოში.

სწორედ მაშინ, დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ დავუახლოვდი პუტკუნა, ასაკით უმცროს **დათუნა ჭელიძეს,** რომელიც თანატოლთაგან სპორტის სიყვარულითაც გამოირჩეოდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ მეტი არა, ზრდილობითაც.

იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რაც მის მიმართ დადებითად განმაწყობდა. დიახ, იგი თითოეული ჩვენთაგანისათვის სათაყვანებელი თბილისის „დინამოს“ კაპიტნის **ვახტანგ (ბიჭი) ჭელიძის** ვაჟი გახლდათ, რომელსაც, მართალია, ტრავმების გამო კარიერა უკვე ნადრევად ჰქონდა დასრულებული, მაგრამ გახმაურებული შემთხვევა სამართლიან და პატრიოტ ვაკელ რაჭველად წარმოაჩენდა.

საუბარია გავრცელებულ ხმებზე, რომ თითქოს გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა მეზობლებთან პრინციპული თამაში „ჩაუშვა“ და მას შეხვედრის შემდეგ გასახდელში ჭელიძემ თავ-ყბა გაუერთიანა – რაღა მაგათთან გაგვყიდეო.

ძნელი სათქმელია, რამდენად საფუძვლიანი იყო აღნიშნული ვერსია, მაგრამ, ბუნებრივია, ბავშვებს გამოძიება არ დაგვიწყია.

და კიდევ: რა დამავიწყებს ამ ვაჟკაცური აღნაგობის გოლიათის თითოეულ გამოჩენას საკუთარი კორპუსის წინ, როცა სამართალდამცავის მუნდირში გამოწკეპილი, აკადემიური ნაბიჯებით გაუყვებოდა გზას სამსახურისკენ.

დანარჩენზე გულშემატკივარი ამომწურავ ინფორმაციის მიიღებს მკლავმოუღლელი კალმოსნის **დემიკო ლოლაძის** მორიგი კრებულიდან, რომელმაც ჩანაფიქრი ამჯერადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ლევან კობიაშვილის** ხელშეწყობით განახორციელა (დიზაინერი **კახა ბახტაძე**).

დაგვიჯერეთ, ბევრ საინტერესოს შეიტყობთ ღირსეულ პიროვნებაზე, რომელიც 50 წლისა გულის შეტევით გახდა მარადისობის ბინადარი.

სადარბაზო ბარათი

დაიბადა 1945 წელს. ფეხბურთს „ბურევესტნიკსა“ და ფშმში ეზიარა. 1963-1976 წლებში იყო თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველი (სიმაღლე – 183 სმ, წონა – 82 კგ). გახდა დუბლიორთა შორის სსრკ ჩემპიონი (1964 წ), ქვეყნის თასის მფლობელი (1976 წ) და ოთხჯერ – საკავშირო პირველობების ბრინჯაოს პრიზიორი. 1973 წელს ესპანეთში მოიგო პრესტიჟული კარაველას თასი.

სტატისტიკა: სულ ჩაატარა 343 მატჩი და გაიტანა 9 გოლი, აქედან 7 – პენალტით, მათ შორის: სსრკ ჩემპიონატებში – 256 (7 ბურთი, ერთ-ერთი შორიდან გაუტანა მოსკოვის „ტორპედოს“ მეკარე ანზორ კავაზაშვილს), სსრკ თასზე – 32, საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის უეფას თასზე – 8 თამაში (1 გოლი ბელგრადში ოფკ-სთან).

პანდემიის წლებში „ლატაკი ქართველები“ თამაშით ერთობოდნენ!

„გასულ წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 32 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე ექვსი მილიარდი ლარით მეტია“

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აზარტული თამაშებით დაკავებული საწარმოების 2020 წლის ბრუნვის მოცულობის შესახებ სტატისტიკა გამოაქვეყნა და საოცარი ციფრებიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა. ირკვევა, რომ პანდემიისა და მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, რის გამოც ქვეყანაში არაერთი შეზღუდვა საკმაოდ ხანგრძლივი დროით იყო დაწესებული, გასულ წელს ამ სექტორის ბრუნვამ 32 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე ექვსი მილიარდი ლარით მეტია.

ბოლო 10 წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ამ ბიზნესის ბრუნვის მოცულობა ყოველწლიურად მზარდია, თუმცა მკვეთრი მატება 2018 წლიდან დაიწყო. 2020 წელს კი, რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. აზარტული თამაშებით დაკავებული საწარმოების, იგივე კაზინოების ბრუნვის მოცულობის მკვეთრი ზრდა სავარაუდოდ იმ ფაქტს უკავშირდება, რომ გასულ წელს, როდესაც კაზინოებს, როგორც სხვა ბიზნესებს მომხმარებლების მიღება აეკრძალათ, მოქალაქეებმა ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლეს და ონლაინ აზარტული თამაშების პლატფორმებს მიმართეს. მიუხედავად გაზრდილი ბრუნვისა, 2020 წელს სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა. კერძოდ, 2019 წელს აზარტული თამაშებით დაკავებული კომპანიები 10 816 ადამიანს ასაქმებდნენ, 2020 წელს კი, დასაქმებულთა რაოდენობა 9 864-მდე შემცირდა. ასევე, იკლო საშუალო ხელფასმაც. 2019 წელს სექტორში საშუალო ხელფასები 467 ლარით შემცირდა და 1 599 ლარი შეადგინა.

ეკონომისტები დიდი ხანია ეწინააღმდეგებიან სათამაშო ბიზნესის ასე უკონტროლო ზრდას. თანაც, არაერთი დაპირების მიუხედავად, ხელისუფლებას რაიმე მნიშნელოვანი რეგულაცია მათ წინააღმდეგ არ შემოუღია, მათ შორის რეკლამირების შეზღუდვაც კი, რომელსაც წლებია პოლიტიკოსების და ეკონომისტების დიდი ნაწილი ითხოვს.

ანალიტიკოსი **ზურაბ კუკულაძე** ამბობს, რომ სწორედ სათამაშო ბიზნესია ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მუხრუჭი, რადგან აზარტული თამაშები არის ერთადერთი, რომელსაც არ ჰყავს მომიჯნავე სექტორები, რომ განვითარებაში დაეხმაროს.

„ახლა ვართ რეალობაში, როცა ეკონომიკაში თუ რამე ფული ტრიალებს, მას გაიწოვს სათამაშო ბიზნესი სრულად. ეს გასაკვირი არ არის, როცა ისეა მიშვებული ეს სექტორი, როგორც ჩვენთანაა. არადა, ძალიან სპეციფიური სექტორია, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მკაცრად რეგულირდება მისი უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური გავლენების გამო.

ახლაც კი, როცა რეალური სივრცის კაზინოები დახურულია, მოგება ისევ დიდი მასშტაბით იზრდება. ყველა მოწყობილობაში, მობილურიდან-კომპიუტერამდე მინი-კაზინოებია ჩართული. ეს სექტორი არ საჭიროებს რეგულაციების დაცვას რომ ჩვეულ რეჟიმში იმუშაოს.

ამ პირობებში გასაკვირი ისაა, ეკონომიკის სხვა სექტორები საერთოდ როგორ არსებობს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ეკონომიკის განვითარების ყველა დიდი მუხრუჭი სათამაშო ბიზნესია. გამომდინარე ერთი, მარტივი ჭეშმარიტებიდან — ზრდა რომელიც ამ სექტორს აქვს, სხვა სექტორებიდან არის მიღებული, რომელიც რაღაცას ქმნის. სათამაშო ბიზნესი კი არ ქმნის არაფერს, ამ რეალობაში არც სამუშაო ადგილებს, რადგან თამაშები ონლაინაა. ეს არის ერთადერთი სექტორი, რომელიც არცერთ მომიჯნავე დარგს არ აფინანსებს. არც კი ჰყავს ასეთი დარგები. ამიტომ მე გარანტიას ვაძლევ ყველას, რომ ამ პირობებში რა პირობებითაც დღეს აზარტული თამაშების ბიზნესი ფუნქციონირებს, იქნება ასე ან ამაზე უარესად“, — განაცხადა ზურა კუკულაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ბექა დანელია



გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ახალი მოხსენების მიხედვით, ჯერ კიდევ 2018 წელს, 3,8 მილიარდ ადამიანს წყალზე არასათანადო წვდომა ჰქონდა წელიწადის სულ მცირე ერთი თვის განმავლობაში.

„საჭიროა გამოვიღვიძოთ და მზად ვიყოთ წყლის კრიზისისთვის“, — ამბობს WMO-ს ხელმძღვანელი პეტრი ტაალასი.

მოხსენება, სახელად „კლიმატური სერვისების მდგომარეობა 2021: წყალი“ (The State of Climate Services 2021: Water) COP26-ის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოქვეყნდა. COP26 არის გაეროს კლიმატის ცვლილებების კონფერენცია, რომელიც 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე, გლაზგოში გაიმართება.

გაერო შეშფოთებულია, რადგან გასული 20 წლის განმავლობაში, ხმელეთზე არსებული წყლის დონე — ზედაპირზე, ზედაპირქვეშ, თოვლსა და ყინულში — წელიწადში ერთი სანტიმეტრით მცირდება.

უდიდესი დანაკარგები ანტარქტიდასა და გრენლანდიაზე მოდის, მაგრამ როგორც გაერო აღნიშნავს, წყლის მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის დაბალი განედების ძლიერ დასახლებული ზონებიც, რომლებიც ტრადიციულად, წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია.

ამავე დროს, გასული 20 წლის განმავლობაში გაიზარდა წყალთან დაკავშირებული რისკების სიხშირე. 2000 წლიდან მოყოლებული, წყალდიდობებთან დაკავშირებული კატასტროფები წინა ორ ათწლეულთან შედარებით 134 პროცენტით გაიზარდა.

„მიმდინარე დათბობის გამო, ატმოსფეროს ტენიანობა შვიდი პროცენტით უფრო მაღალია და ამას წვლილი შეაქვს წყალდიდობებშიც“, — აღნიშნა ტაალასმა პრესკონფერენციაზე.

წყალდიდობასთან და ეკონომიკურ დანაკარგებთან დაკავშირებულ სიკვდილიანობათა უმეტესობა აზიაში აღირიცხა, სადაც მდინარეთა წყალდიდობების სისტემები გაძლიერებას საჭიროებს.

ამავე დროს, 2000 წლიდან დღემდე 30 პროცენტით გაიზარდა გვალვების რაოდენობა და ხანგრძლივობა; ამ მხრივ ყველაზე მეტად ზარალდება აფრიკა.

ტაალასი COP26-ის მონაწილე ქვეყნებს მოქმედებებისკენ მოუწოდებს.

მისი განცხადებით, მსოფლიოს ლიდერთა უმეტესობა კაცობრიობის კეთილდღეობის მთავარ რისკად კლიმატის ცვლილებას მიიჩნევს, მაგრამ მათი საქმე ლაპარაკს არ ემთხვევა.

„მოქმედებების დასაწყებად ათწლეულობით ლოდინი აღარ შეიძლება. ეს გახლავთ შეტყობინება ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ჩინეთი, რომელიც აცხადებს, რომ 2060 წლისთვის ნახშირბად-ნეიტრალურად გადაქცევა სურს, მაგრამ ამის კონკრეტული გეგმა არ გააჩნია“, — ამბობს ტაალასი.

მისივე განცხადებით, COP26 სამიტის მთავარი პრიორიტეტი კლიმატის შემსუბუქებაა, მაგრამ უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი კლიმატურ ადაპტაციათა შესახებ, რადგან ამინდის მახასიათებელთა უარყოფითი ტენდენცია უახლოეს ათწლეულებში და მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდება, როდესაც საქმე ეხება მყინვართა დნობას და ზღვის დონის აწევას.

მომზადებულია Agence France-Presse**-ის მიხედვით.**

მიხეილ ჟაბუკაშვილი

◎ დაისი

კალათის მესაიდუმლე

კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი დაემშვიდობა სპორტს ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ. ესაა 41 წლის ესპანელი კალათბურთელი პაუ გასოლი, რომლის შთამბეჭდავი კარიერაც „ბარსელონაში“ დაიწყო, ხოლო შემდეგ ნბა-ში გაგრძელდა, სადაც 20 სეზონის განმავლობაში „ატლანტას“, „მემფისისა“ და „ლეიკერსის“ მაისურებით ითამაშა და თავისი ამერიკული ეპოქა კალიფორნიელთა შემადგენლობაში ჩემპიონის „ოქროს ბეჭდის“ ორგზის მოხვეჭით დააგვირგვინა.

პროფესიონალთა კამპანიაში გამართული 1226 შეხვედრა (მათგან 1150 — სასტარტო ხუთეულში), საშუალოდ 17 ქულა, 9, 3 მოხსნა და 3, 2 შედეგიანი გადაცემა, პლუს „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ ექვსჯერ მონაწილეობა — ასეთია ლეგენდის მონაგარი ოკეანის გაღმა. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, პირენეელის მდიდარი კოლექცია მართლაც საამაყოა: **ოლიმპიადა** — ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“; **მსოფლიოს ჩემპიონატი** — „ოქრო“; **ევროპის ჩემპიონატი** — 3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“.

◎ ყინულზე

პირველი მერცხლები

პეკინის „თეთრ ოლიმპიადამდე“ (4-20 თებერვალი) თითქმის ოთხი თვეა დარჩენილი, მაგრამ ჰოკეის სამშობლოს — კანადის ნაკრების მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს იმ ტრიოს ვინაობა, ვინც „ნეკერჩხლის ფოთლების“ სპორტულ ღირსებას დაიცავენ ცისქვეშეთში.

ესენი არიან სიდნი კროსბი, ალექს პიეტრანჯელო და „ედმონტონის“ ლიდერი კონორ მაკდევიდი, რომელიც ჩინეთში კარიერაში პირველად ითამაშებს 5 რგოლის ეგიდით.

სემეკი: ელექტროენერგიის ტარიფი არ იზრდება!

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ეხმიანება ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებულ სტატიას ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის შესახებ.

სემეკის თქმით, სტატიაში მოყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და გამოთქვამთ ვარაუდს, რომ ტარიფების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა წარმოადგენს მიზანმიმართულ პროვოკაციას. აქვე აღვნიშნავთ, რომ მედიასაშუალებას სემეკთან კომუნიკაცია არ ჰქონია, კომენტარი არ გამოუთხოვია და არც ინფორმაცია გადაუმოწმებია.

სემეკში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ელექტროენერგიის ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტულ პროცედურულ ნაწილს ელექტროენერგიის ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დღეისათვის არ არსებობს ელექტროენერგიის ტარიფების არსებითი ცვლილების საფუძველი, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის მატება არ იგეგმება.

სემეკი მოუწოდებს მედიასაშუალებებსა და დაინტერესებულ პირებს, არ გაავრცელონ არასწორი, გადაუმოწმებელი ინფორმაცია და თავი შეიკავონ საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან.

გამაოგნებელი ინფორმაცია

UNICEF-ის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 15-დან 24 წლამდე ასაკის ყოველ მეხუთე ახალგაზრდას ფსიქიკური პრობლემები აქვს.

როგორც UNICEF განმარტავს, ამის მთავარი მიზეზი კორონავირუსის პანდემია, ჩაკეტვა და ეკონომიკური პრობლემებია. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო, ახალგაზრდები შიშს და მომავლის მიმართ გაურკვევლობას განიცდიან, რის გამოც ჩნდება იმედგაცრუებები.

„ეს იყო რთული 18 თვე, ახალგაზრდები ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ: მეგობრების, გაკვეთილებისა და ჰობის გარეშე. რაც მთავარია, არავინ იცოდა რა მოხდებოდა შემდეგში“, — ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჰენრიეტა ფორი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ წელიწადში დაახლოებით 45,000 მოზარდი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. მოზარდებში მთავარი პრობლემები დეპრესია, შფოთვითი აშლილობა, ბიპოლარული აშლილობა და კვების დარღვევებია.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ორგანიზებით გამოცხადდა კონკურსი „იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის“ მოსაპოვებლად. კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა თეა წულუკიანმა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ხელმძღვანელმა, ირმა რატიანმა კონკურსის პირობებსა და ვადებზე ისაუბრეს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ კონკურსის მიზანია საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, გარდა ნომინაციისა „საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისთვის“, სადაც განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს).

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ 8 ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ 11 ᲞᲠᲔᲛᲘᲐ. ᲔᲡᲔᲜᲘᲐ:

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ;
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲖᲐᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲜᲘ;

ა) ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი;
ბ) პატარებისთვის, 7-12 წელი;
გ) ყმაწვილებისთვის, 13 + ;

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲜᲘ;

ა) ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი;
ბ) პატარებისთვის, 7-12 წელი;

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐ;
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ;
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ/ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲬᲘᲗᲜᲘ;
ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ-ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ;
ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენს 5000 ლარს (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ დარგში ნობელის პრემია ფილიპინელ ჟურნალისტ მარია რესას და რუს ჟურნალისტს, რუსეთის დამოუკიდებელი გაზეთის, „ნოვაია გაზეტას“ მთავარ რედაქტორს დმიტრი მურატოვს გადაეცათ.

ნობელის კომიტეტის განცხადებით, პრემია ჟურნალისტებს გადაეცათ გამოხატვის თავისუფლების დაცვისთვის გაწეული ძალისხმევისთვის, „რაც დემოკრატიისა და ხანგრძლივი მშვიდობის წინაპირობაა“.

კომიტეტის თავმჯდომარის, ბერიტ რეის-ანდერსენის განცხადებით, „ლაურეატები წარმოადგენენ ყველა ჟურნალისტს, რომლებიც იცავენ მშვიდობის იდეას მთელ მსოფლიოში, რომელშიც დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება სულ უფრო არასახარბიელო ვითარებაში იმყოფება“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ COVID-ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 30.3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ

ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 10 ოქტომბრის მონაცემებით სულ ჩატარებულია 1 862 753 აცრა. სულ მცირე 1 დოზით ვაქცინირებულია 998 444 ადამიანი — მოზრდილი მოსახლეობის 35.1%-ი. სრულად ვაქცინირებულია 864 309 ადამიანი — მოზრდილი მოსახლეობის 30.3 %-ი.

ვაქცინაციის პროცესი საქართველოში 15 მარტს დაიწყო. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ოთხი ვაქცინით, „სინოფარმით“, „სინოვაკით“, „ასტრაზენეკათი“ და „ფაიზერით“ აცრაა შესაძლებელი. ვაქცინაციის გეგმის თანახმად, წლის ბოლომდე, საქართველოს მოსახლეობის 60%, ანუ მილიონ 700 ათასი ადამიანი უნდა აიცრას.

ᲡᲘᲜ�გᲐ�პᲣᲠᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ...

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ახალი ეპიდაფეთქების გამო სინგაპურის ხელისუფლებამ აუცრელი ადამიანებისთვის სოციალური შეზღუდვები გაამკაცრა. ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა, ონ იე კუნმა განაცხადა.

„13 ოქტომბრიდან საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შესვლას მხოლოდ სრულად ვაქცინირებული ადამიანები და 12 წლამდე ასაკის ბავშვები შეძლებენ. დანარჩენები საკვების შეძენას მხოლოდ გატანით შეძლებენ. რესტორნებსა და კაფეებში ერთ მაგიდასთან მხოლოდ 2 ადამიანის განთავსებაა ნებადართული. სავაჭრო ცენტრებში, ტურისტულ ობიექტებზე, გასართობ პარკებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში შესვლა მხოლოდ ორჯერადად აცრილი ადამიანებისთვის იქნება ნებადართული. გამონაკლისს მხოლოდ სუპერმარკეტები წარმოადგენს“, — აცხადებს სინგაპურის ჯანდაცვის მინისტრი.

„ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲐᲚᲐᲡᲙᲘᲡ ეროვნულმა პარკმა და ნაკრძალმა „კატმაი“ ტრადიციული კონკურსი „მსუქანი დათვების კვირა“ ჩაატარა, რომლის გამარჯვებულიც წელს 25 წლის ოტისი გახდა. კონკურსი მაშინ ტარდება, როცა დათვები ზამთრის ძილამდე მაქსიმალურ წონას კრეფენ.

წელს მასში ნაკრძალში ბინადარი 2 200 დათვიდან 12 მონაწილეობდა. გამარჯვებული კი ვებგვერდზე explore.org ხმის მიცემის გზით გამოვლინდა. ოტისს ხმა 51 ათასმა ადამიანმა მისცა. ნაკრძალის თანამშრომლების თქმით, ის „კატმაის“ ერთ-ერთი ყველაზე მოხუცი დათვია, რის გამოც ნადირობა უჭირს. **„ორი ეშვი არ აქვს, ბევრი კბილი კი უბრალოდ დასცვივდა. ამიტომ, უბრალოდ წყალთან ზის და ელოდება როდის მიცურავს თევზი მასთან“,** — ამბობენ ნაკრძალში. ეს ოტისის მეოთხე გამარჯვებაა. მანამდე მან პირველი ადგილი 2014, 2016 და 2017 წლის „მსუქანი დათვების კვირაში“ დაიკავა.

ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔᲔᲑᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ბოლოს, ბრიტანეთში, სოტბის აუქციონზე გაიტანენ სათვალეებს, რომლებიც დიდ მონღოლთა იმპერიის დროს არის დამზადებული.

ორი სათვალიდან ერთი ბრილიანტითაა შექმნილი, მეორის ჩარჩოში კი, ზურმუხტია ჩასმული. თითოეულის სავარაუდო საწყისი ფასი, $1.5 მილიონიდან $2.5 მილიონამდე იქნება. უცნობია, ვინ შეუკვეთა სათვალეების დამზადება, თუმცა, შესაძლებელია, ისინი მონღოლთა დინასტიის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ინდოსტანის ნახევარკუნძულს XVI-XVII საუკუნეში მართავდნენ.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1298; ᲔᲕᲠᲝ - 3.6193;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2662;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3453; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3541;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8392;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.5140.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+4,	ᲓᲦᲔ	+21
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1,	ᲓᲦᲔ	+23

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+27
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+25
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+17

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge